სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში:

ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების აპრობირებული მეთოდები საქართველოში

2022 წლის ივლისი

სარჩევი

შესავალი ... 3

ძირითადი მიგნებები ... 7

I. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო შემთხვევები ... 10

1.1. ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო სქემა ... 10

1.2. სავარაუდოდ პატარიძესა და ხოჯევანიშვილთან გადაგზავნილი წერილების შინაარსი ... 12

1.2.1. მსჯავრდებულებისათვის (პრობაციონერებისთვის) პირობითი მსჯავრის მოხსნა ... 12

1.2.2. პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია ... 17

1.2.3. მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლება ... 20

1.2.4. შეჩერებული ან ჩამორთმეული მართვის მოწმობის დაბრუნება ... 21

1.2.5. პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია ... 26

1.2.6. მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე გავლენის მოხდენა ... 27

1.2.7. სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესება ... 28

1.3. სხვა დოკუმენტების შინაარსი ... 31

1.3.1. შემოსავლების სამსახურის საარჩევნო მიზნებით გამოყენება ... 31

1.3.2. მარნეულში პოლიტიკურ ოპონენტებზე მასშტაბური ზეწოლის გეგმა ... 33

1.3.3. წვევამდელთა სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადება ... 38

II. საჯარო სამსახურების პოლიტიზება და მოსამსახურეების კონტროლი ... 39

2.1. საჯარო სკოლის დირექტორების პოლიტიკური დოსიეების შექმნა და საკადრო პოლიტიკა ... 39

2.2. მამხილებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები საჯარო სკოლის დირექტორების შესახებ ... 40

2.3. სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა პოლიტიკური დოსიეების შექმნა და მათი კონტროლი ... 45

2.4. საბიუჯეტო ორგანიზაციებში თანამდებობებზე დასანიშნი პირების პოლიტიკური ლოიალობის წინასწარი შესწავლა ... 47

III. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომელთა საარჩევნოდ მობილიზება ... 51

IV. რეკომენდაციები ... 53

შესავალი

გასულ წლებში არაერთი საუბარი ყოფილა იმაზე, რომ მმართველი პარტია საარჩევნოდ ამომრჩევლის ხმების მოსაპოვებლად სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო რესურსს იყენებდა, შედეგად კი, არჩევნებზე მნიშვნელოვან უპირატესობას იღებდა.

ასეთ ქმედებებს შორის აღსანიშნავია წინასაარჩევნოდ მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ინიცირება, რომელთა მთავარი მიზანი არა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობა, არამედ კონკრეტული არჩევნებისთვის ამომრჩეველთა გულის მოგება იყო. მაგალითად, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისთვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" 17 სახელმწიფო პროგრამა/ინიციატივა გამოარჩია, რომელიც საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯებად შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული.[1]

წარსულში ჩატარებულ ფაქტობრივად ყველა არჩევნებზე ასევე ტენდენციის სახე ჰქონდა მმართველი პარტიის მსხვილ შემომწირველთა შორის ისეთი პირების ყოფნას, რომელთა კომპანიები სახელმწიფო შესყიდვების მსხვილ კონტრაქტებს და სხვა სახელმწიფო პროგრამებიდან სოლიდურ დაფინანსებას იღებდნენ. მაგალითად, მმართველი პარტიის შემომწირველმა იურიდიულმა პირებმა და ფიზიკურ პირ შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2021 წელს ჯამში დაახლოებით 320 მლნ ლარის ღირებულების ტენდერები მოიგეს და 19 მლნ ლარის გამარტივებული შესყიდვის კონტრაქტები მიიღეს. ამ კომპანიებმა და მათთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა შემომწირველებმა იგივე პერიოდში დაახლოებით 4.5 მლნ ლარი გაიღეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ.[2]

გარდა ამისა, სხვადასხვა სამართალდამცავი/საგამოძიებო უწყება არაერთხელ ყოფილა გამოყენებული წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით, მათ შორის პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლებრივი საქმეების წარმოების და უკანონოდ მოპოვებული პირადი ხასიათის აუდიო/ვიდეო ჩანაწერების გავრცელების არაეფექტიანი გამოძიების გზით.

ამასთანავე, ყოველთვის თვალში საცემი იყო საარჩევნო პროცესებში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყების (მათ შორის საარჩევნო კომისიების, სასამართლოს) პოლიტიზების და მიკერძოების მაღალი ხარისხი, რაც მათ მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილის უნდობლობას განაპირობებდა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უპრეცედენტო მასშტაბის ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების შემცველ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც სახელმწიფოს

---

[1] ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისთვის (საბოლოო ანგარიში), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 18 თებერვალი 2022, https://cutt.ly/wGSIC9a

[2] პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2021 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 8 ივლისი, 2022, https://cutt.ly/SLJ5BO7

აქტიური დახმარებითა და ჩართულობით „ქართუ" ფონდმა საქართველოს 600 000-მდე მოქალაქის ვალი დაფარა.[3]

სახელმწიფო უწყებების საარჩევნო მიზნით გამოყენების მაგალითებად, ასევე, ხშირად სახელდებოდა წინასაარჩევნოდ მოქალაქეებისთვის მათი ხმების სანაცვლოდ სახელმწიფოს მიერ გარკვეული საქონლის, მომსახურების, შეღავათის და სხვა ტიპის სარგებლის მინიჭების შემთხვევები. გარდა ამისა, პერიოდულად საზოგადოებაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები ზოგიერთ შემთხვევაში მათი ნების საწინააღმდეგოდ იყვნენ საარჩევნო კამპანიებში ჩართული და აქტიურად ხდებოდა ამ ადამიანების პოლიტიკური ლოიალობის შემოწმება და პოლიტიკური ნიშნით შევიწროება.

როგორც წესი, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარკვეული ნაწილი გადამოწმებადი იყო და არაერთხელ მოხვედრილა სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციის ანგარიშში. მაგალითად, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნებისას სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშებში ზეწოლის, მუქარისა და დაშინების ათეულობით შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული[4]. ზეწოლის შესახებ ინფორმაცია სჭარბობდა იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც პოლიტიკური გარემო ადგილობრივ დონეზე შეიცვალა - მოქმედი გამგებლები, რომლებიც მანამდე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" (შემდეგში „ქართული ოცნება") მხარდაჭერით სარგებლობდნენ, სხვა კანდიდატებით ჩანაცვლდნენ და მმართველი პარტიის მიერ ახლად ნომინირებული კანდიდატების კონკურენტები გახდნენ. ამავე არჩევნებზე, საჯარო სკოლის პედაგოგებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა მიმართ მმართველი პარტიის სასარგებლოდ საქმიანობის დავალების არაერთი შემთხვევა გამოვლინდა.[5]

თუმცა, იყო გარკვეული ინფორმაცია, რომლის გადამოწმება და დადასტურება რთული იყო და ისინი მხოლოდ საფუძვლიანი ვარაუდის დონეზე რჩებოდა. მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების წინ არაერთი ჟურნალისტური რეპორტაჟი[6] მომზადდა,

---

[3] ვალების ჩამოწერის ინიციატივა ამომრჩეველთა უპრეცენდენტო მასშტაბის შესაძლო მოსყიდვას წარმოადგენს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 19 ნოემბერი 2018, https://cutt.ly/eGLk6L5

[4] მაგალითად, 2017 წლის მუნიციპალიტეტის არჩევნებზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში გაუქმდა საარჩევნო სუბიექტის „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს" პარტიული სია, ვინაიდან ყველა კანდიდატმა ორდღიან შუალედში, 7-9 ოქტომბერს განცხადება დაწერა საოლქო საარჩევნო კომისიაში და არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. არჩევნებში მონაწილეობაზე ასევე უარი თქვა ამავე პარტიის მერობის კანდიდატმაც და საკუთარი განცხადების საფუძველზე მოიხსნა რეგისტრაციიდან.

[5] 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის III შუალედური ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 19 ოქტომბერი 2017, https://cutt.ly/eLF9513

[6] რეპორტაჟების სია:
ტელეკომპანია „ტვ პირველი"
https://www.facebook.com/watch/?v=1293046891141497
https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/4760819177314370
https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/4442053745873560/
https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/574496877191500
ტელეკომპანია „ფორმულა"
https://www.facebook.com/TVFormula/videos/579087343174648

რომელშიც ასეთი უკანონო სქემების არსებობა მმართველ პარტიასთან დაახლოებული მამხილებლის მიერ მოწოდებული კონკრეტული მტკიცებულებებით იყო გამყარებული. კერძოდ, წარმოდგენილი იყო გარკვეული ფაილები, ადამიანთა ჩვენებები და სხვადასხვა სარწმუნო ფაქტობრივი გარემოება. თუმცა, ამ შემთხვევებზე, რამდენადაც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, სამართალდამცველ უწყებებს გამოძიება არ დაუწყიათ.[7]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" („სამართლიანი არჩევნები") დაინტერესდნენ მამხილებლის - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს და მმართველი პარტიის „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ყოფილ მაღალი თანამდებობის პირს **იოსებ გოგაშვილის** მიერ გადმოცემული ინფორმაციით, და შესაძლებლობების ფარგლებში გადაამოწმეს წარმოდგენილი გარემოებები. მამხილებლის მიერ გადმოცემული დოკუმენტები ძირითადად შეადგენდა 2018-2019 წლებში ელექტრონული ფოსტის მისამართზე securgd@gmail.com მიღებული და ამავე მისამართიდან გაგზავნილი კორესპონდენციას. გარდა ამისა, ფაილებში იყო დოკუმენტები, რომლებიც უფრო გვიანდელ პერიოდს, კერძოდ, 2020 წელს ეხებოდა.

წინამდებარე ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის, ასევე, ორგანიზაციების მიერ წარსულში სხვადასხვა არჩევნების დაკვირვების შედეგების საფუძველზე არის შედგენილი.

კვლევა რამდენიმე ძირითადი საკითხისგან შედგება. დასაწყისში განხილულია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის[8], აგრეთვე, ნაწილობრივ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მოქმედი ის სავარაუდო სქემა და სისტემა, რომელიც მმართველი პარტიის და რამდენიმე სახელმწიფო უწყების თანამდებობის პირების კოორდინაციის შედეგად, სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებით, ამომრჩევლის მოსყიდვას და მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმების მობილიზებას ისახავდა მიზნად. კერძოდ, აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როგორიცაა მსჯავრდებულებისათვის (პრობაციონერებისთვის) პირობითი მსჯავრის მოხსნა, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, სატრანსპორტო საშუალების შეჩერებული ან ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან ბრალდების შემსუბუქება, სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესება, წვევამდელებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადება და სხვა.

---

https://www.facebook.com/TVFormula/videos/4386605308122452

https://www.facebook.com/TVFormula/videos/406475654409273

ტელეკომპანია „მთავარი არხი"

https://www.facebook.com/TvMtavari/videos/861357581223802/

[7] ვთხოვთ მედია ორგანიზაციებს საარჩევნოდ უკანონო სქემების გამოყენების შესახებ მათ ხელთ არსებული მასალები მოგვაწოდონ, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 10 ნოემბერი 2021, https://cutt.ly/0AJiNVC

[8] არჩევნების პირველი ტური 2018 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა, ხოლო მეორე ტური - 28 ნოემბერს.

ზემოთ ნახსენები ელექტრონულ ფოსტის კორესპონდენციის და მამხილებლის მიერ გადმოცემული სხვა დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა საჯარო და საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლების და ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერების პოლიტიკური დახასიათებები და მათზე ზეწოლის მოხდენის სავარაუდო ბერკეტები. ასეთი დოსიეები, სავარაუდოდ, მმართველი პარტიისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში - „სუსი“) მიერ იყო შედგენილი და სავარაუდოდ მათ საფუძველზე კონკრეტული პირები სამსახურიდან იქნენ გათავისუფლებულნი.

ძირითადი მიგნებები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" და „სამართლიანმა არჩევნებმა" შეისწავლეს დოკუმენტაცია, რომლებიც სავარაუდოდ მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების" მიერ შექმნილი ელექტრონული ფოსტის securgd@gmail.com, 2018-2019 წლების კორესპონდენციასა და 2020 წლით დათარიღებულ დოკუმენტაციას მოიცავდა. ამასთანავე, საჯარო ინფორმაციის მეშვეობით გადამოწმდა დოკუმენტებში არსებული გარკვეული მონაცემები.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მმართველი პარტიის სასარგებლოდ არაკანონიერი გზებით ამომრჩევლის ხმების მობილიზების მასშტაბური სქემა, რომლითაც მაღალი ალბათობით დასტურდება სახელმწიფო უწყებების (მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების) საარჩევნო/პარტიული მიზნებით გამოყენება. ამ უწყებების მეშვეობით სავარაუდოდ გროვდებოდა პერსონალური ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა და სხვა მოქალაქეების შესახებ, სავარაუდოდ მომავალში მათზე ზეწოლის მიზნით. გარდა ამისა, არჩევნებზე მხარდაჭერის სანაცვლოდ, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მეშვეობით ხდებოდა მოქალაქეების წინასწარ მოთხოვნილი შეღავათებით და სხვა ტიპის სარგებლით უზრუნველყოფა.

სრული სქემის მასშტაბი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ მეთოდებით არჩევნების პროცესში ჩარევის შედეგად შესაძლებელი იყო ამომრჩევლის ხმის მმართველი პარტიის სასარგებლოდ მასშტაბური მობილიზება.

უფრო კონკრეტულად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების სერვისების გამოყენებით კონკრეტულ პირებს სავარაუდოდ სთავაზობდნენ პირობითი მსჯავრის გაუქმებას, პენიტენციური დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებას, შეჩერებული/ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენას, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდების შემსუბუქებას (გადაკვალიფიცირებას), სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესებას, წვევამდელთა სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადებას და ა.შ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ცხადად ჩანს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში (განსაკუთრებით მეორე ტურის წინ და შემდეგ თვეებში) საგრძნობლად გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, ვისაც პირობითი მსჯავრი გაუუქმეს და სატრანსპორტო საშუალების მართვის ჩამორთმეული უფლება აღუდგინეს. გარდა ამისა, სხვადასხვა ტელეკომპანიის მიერ გაკეთებულ რეპორტაჟებში ბევრმა პირმა დაადასტურა დოკუმენტებში მოყვანილი გარემოებები.

ამომრჩევლის გულის მოგების მიზნით ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათების თუ სარგებლის შეთავაზება სავარაუდოდ არაფორმალური გზით და კანონის პროცედურების გვერდის ავლით ხდებოდა. შედეგად, იკვეთება სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და მმართველი პარტიის მიერ ერთობლივად სახელმწიფო რესურსების ხარჯზე მოქალაქეთა

მასშტაბური მოსყიდვის ფაქტი. ამ პროცესში გამოკვეთილი იყო ცალკეულ თანამდებობის პირთა სავარაუდო სამოხელეო და სისტემური დანაშაულის ნიშნები.

როგორც დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, მმართველ პარტიასთან ერთად ამ სისტემის შემსრულებლები, მათ შორის, სავარაუდოდ მაშინდელი იუსტიციის მინისტრის მოადგილე **გიორგი პატარიძე** და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი **ალექსანდრე ხოჯევანიშვილი** იყვნენ.

გარდა ამისა, მმართველი პარტია, მაღალი ალბათობით, არასაჯარო წყაროებიდანაც აგროვებდა ინფორმაციას ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერების შესახებ, მათ შორის ინტერესდებოდა იმით, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოეხდინა მათზე სხვადასხვა სახელმწიფო რესურსის გამოყენებით. ამის მაგალითს მარნეულის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილის **მამუკა ნავერიანის** სახელით 2018 წელს გაგზავნილი წერილები წარმოადგენს.

როგორც 2020 წელს შედგენილი დოკუმენტებიდან იკვეთება, სავარაუდოდ მმართველი პარტია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლების შესახებ პოლიტიკურ დოსიეებს ადგენდა და საკადრო პოლიტიკის გატარებისას აღნიშნულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. უფრო კონკრეტულად, დოკუმენტებში მოცემული იყო საჯარო სკოლების დირექტორების, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლების პოლიტიკური დახასიათებები და რეკომენდაციები.

ამის ტიპურ მაგალითად საჯარო სკოლების დირექტორების პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია შეიძლება მივიჩნიოთ. 2020 წლის შემოდგომიდან 2021 წლის აგვისტომდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მინიმუმ 112 საჯარო სკოლის დირექტორი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად აღარ დანიშნა. **112 პირიდან მამხილებლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში 95 დირექტორი იყო შეფასებული. საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს მათგან 29 გათავისუფლებული დირექტორი ჰყავდა უარყოფითად შეფასებული, მმართველ პარტიას - 80 დირექტორი, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს - 89. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და მმართველი პარტიის შეფასებებს დირექტორების გასათავისუფლებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც დადასტურების შემთხვევაში უკანონო და სრულიად მიუღებელი პრაქტიკაა.**

სკოლის დირექტორების დახასიათებების გარდა, მამხილებლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში მოცემული იყო 2020 წლის აგვისტოს მდგომარეობით სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელთა დახასიათებები, უწყებებში არსებული ზოგადი მდგომარეობა და პოლიტიკური განწყობები.

მასალები შეიცავდა დოკუმენტს სახელწოდებით „მოხსენებითი ბარათები“, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ რეგიონული ხელმძღვანელები, როგორც წესი, პარტიის ხელმძღვანელების სახელზე (ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, აგრეთვე რეგიონული მდივანი - დიმიტრი სამხარაძე) წერდნენ განცხადებას და ითხოვდნენ საარჩევნო კამპანიის

მიზნებისთვის სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების თანამშრომლების პარტიის საარჩევნო შტაბში გადმოყვანას. ქართული კანონმდებლობით, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალობა. მან თავი უნდა შეიკავოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვისაგან. მას ეკრძალება პოლიტიკური და საარჩევნო საქმიანობა.

I. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო შემთხვევები

ამ თავში აღწერილია ისეთი სავარაუდო შემთხვევები, როდესაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები პარტიის მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ ხმების მობილიზების სანაცვლოდ პირებს სხვადასხვა სახის არალეგიტიმურ სარგებელს ჰპირდებოდნენ და უზრუნველყოფდნენ. კერძოდ, მმართველი პარტიის მხარდამჭერის მობილიზების სანაცვლოდ, პარტიის წარმომადგენლები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით კონკრეტულ პირებს სთავაზობდნენ პირობითი მსჯავრის გაუქმებას, შეჩერებული/ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენას, პენიტენციური დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებას, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდების გადაკვალიფიცირებას, სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესებას, წვევამდელთა სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადებას და ა.შ.

გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ზემოაღნიშნული დაპირებების შესასრულებლად სავარაუდოდ კანონთან შეუსაბამო კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამდნენ, რომლებიც ცალკეულ ქვეთავებში არის აღწერილი.

ამომრჩევლის გულის მოგების მიზნით ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათების თუ სარგებლის შეთავაზება სავარაუდოდ არაფორმალური გზით და კანონის პროცედურების გვერდის ავლით ხდებოდა. შედეგად, იკვეთება სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და მმართველი პარტიის მიერ ერთობლივად სახელმწიფო რესურსების ხარჯზე მოქალაქეთა მასშტაბური მოსყიდვის ფაქტი. ამ პროცესში გამოკვეთილი იყო ცალკეულ თანამდებობის პირთა სამოხელეო და სისტემური დანაშაულის ნიშნები.

1.1. ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო სქემა

როგორც შესავალში აღინიშნა, ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ძირითადად ეყრდნობა ელექტრონული ფოსტის მისამართიდან securgd@gmail.com 2018 წლის სექტემბრიდან - 2019 წლის იანვრის ჩათვლით განხორციელებულ კორესპონდენციას[9], ჟურნალისტურ საგამოძიებო რეპორტაჟებსა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” და „სამართლიანი არჩევნების” მიერ ზოგიერთი მონაცემის გადამოწმების შედეგებს.

ზემოთ აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიღებული და გაგზავნილი იქნა 189 წერილი, რომელიც შეიცავდა ასეულობით მიბმულ ფაილს. კორესპონდენციის ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართი

[9] ელექტრონულ ფოსტაზე არსებული კორესპონდენცია მოიცავდა უფრო გვიანდელ წერილებსაც, თუმცა ისინი წარმოადგენდა google-დან მიღებულ დამხმარე ხასიათის ტექნიკურ ინფორმაციას, რაც წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის არ იყო საინტერესო.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით ამომრჩეველთა მოსყიდვის სქემაში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა.

სავარაუდო სქემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ. ინფოგრაფიკა N1):

- 2018 წლის სექტემბრიდან - 2019 წლის იანვრის ჩათვლით ათამდე სხვადასხვა ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, რომელიც, მამხილებლის განმარტებით, „ქართული ოცნების" რეგიონულ შტაბებს ეკუთვნოდა, ინფორმაცია იგზავნებოდა სამ მისამართზე: taso.butkhuzi@gmail.com, turqiadavid@gmail.com, gd.reg41@gmail.com, საიდანაც ყველა მონაცემი თავს იყრიდა მისამართზე securgd@gmail.com. ორასამდე წერილი შეიცავდა ასეულობით ადამიანისგან შემდგარ სიებს, რომლებსაც გარკვეული სამართლებრივი საჭიროებები გააჩნდათ (ბრალდებულები, მსჯავრდებულები, მართვის უფლების შეჩერებული/ჩამორთმეული პირები. ამ სიებთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ქვეთავებში).

- securgd@gmail.com-ზე შემოსული სიები შემდეგ, როგორც წესი, იგზავნებოდა ორ ელექტრონულ მისამართზე: gpataridze@justice.gov.ge-ზე და akhojevanishvili@yahoo.com-ზე. მამხილებლის თქმით, პირველი მისამართი **გიორგი პატარიძეს** ეკუთვნოდა, რომელიც მიმოწერის პერიოდში იუსტიციის მინისტრის მოადგილის პოსტს[10] იკავებდა; მეორე მისამართი კი **ალექსანდრე ხოჯევანიშვილის** იყო, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - „შსს") გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა. როგორც მისამართებიდან ჩანს, პატარიძის შემთხვევაში სავარაუდოდ გამოყენებულია მისი სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი, ხოლო ხოჯევანიშვილის შემთხვევაში – yahoo.com-ის დომენი.

- 2018 წლის სექტემბრიდან - 2019 წლის იანვრის ჩათვლით ელექტრონულ მისამართებზე, რომლებიც სავარაუდოდ გიორგი პატარიძეს და ალექსანდრე ხოჯევანიშვილს ეკუთვნოდა ათეულობით წერილი გაიგზავნა, კონკრეტულად კი 20 წერილი გაიგზავნა პატარიძესთან, ხოჯევანიშვილთან კი – 18. გაგზავნილი წერილების თემატიკა, როგორც წესი, ემთხვეოდა მათი საქმიანობის სფეროს.

[10] გიორგი პატარიძე 2018 წლის 31 ოქტომბრიდან ითავსებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოვალეობას https://1tv.ge/news/specialuri-penitenciuri-samsakhuris-khelmdzghvanelma-zviad-mikhanashvilma-tanamdeboba-datova/

ინფოგრაფიკა N1



1.2. სავარაუდოდ პატარიძესა და ხოჯევანიშვილთან გადაგზავნილი წერილების შინაარსი

1.2.1. მსჯავრდებულებისათვის (პრობაციონერებისთვის) პირობითი მსჯავრის მოხსნა

2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის იანვრის ჩათვლით სავარაუდოდ გიორგი პატარიძისთვის 1700-მდე მსჯავრდებულის (პრობაციონერის) შესახებ არსებული ინფორმაცია გაიგზავნა. როგორც კორესპონდენციისა და გაგზავნილი მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, პრობაციონერები ან/და მათი ოჯახის წევრები წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობდნენ, ხოლო პარტია მათ მონაცემებს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს იმ მიზნით უგზავნიდა, რომ მათთვის სასამართლო განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი გაეუქმებინათ და ნასამართლობა მოეხსნათ.

უფრო კონკრეტულად, გადაცემულ სიებში იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით „ქართული ოცნების“ რეგიონული შტაბებიდან შეგროვებული მსჯავრდებულთა ჩამონათვალი, რომლებსაც სხვადასხვა დანაშაულისთვის განსაზღვრული ჰქონდათ პირობითი მსჯავრი. სიებში, როგორც წესი, მითითებული იყო მათი პერსონალური ინფორმაცია, ჩადენილი დანაშაული, შეფარდებული სასჯელი, პირობითი მსჯავრის ხანგრძლივობა და მოთხოვნა - მისი გაუქმება. ხშირ შემთხვევაში სიის შემდგენელი პირებისგან შენიშვნის გრაფაში მითითებული იყო ის, თუ რა ფორმით ეხმარებოდა პირი პარტიას ან/და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ სურათი N1-ში იხილეთ ფრაგმენტი გაგზავნილ მონაცემთა ბაზებიდან:

სურათი N1

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	მიზეზი(რის გამოც აქვს პირობითი)	პირობითის ხანგრძლივობა	რა ვადაა გასული პირობითის დაწყებიდან დღემდე	მოთხოვნა	შენიშვნა
1				273-ე მუხლი	2 წელი	6 თვე	პირობითის მოხსნა	ეს ბიჭი საბურთალოელია. მეხმარება გლდანში და საბურთალოზეც
2				260-ეს პირველი ნაწილი	5 წელი	2,5 წელი	პირობითის მოხსნა და მ	ეს ბიჭი გლდანელია და გვეხმარება გლდანში, გლდანულაში, პატარა გლდანში და სოფელ გლდანში.
3				178-ე პირველი ნაწილი	5 წელი	10 თვე	პირობითის მოხსნა	ეს არის ავჭალელი და გვეხმარება ავჭალაში

აღნიშნული მონაცემთა ბაზიდან განსაკუთრებით საყურადღებო იყო შენიშვნის გრაფა, რომელშიც აღწერილი იყო თუ რა სახის დახმარებას უწევდა/გაუწევდა მითითებული პირი პარტიას. როგორც ზემოთ აღინიშნა, securgd@gmail.com-დან სავარაუდოდ გიორგი პატარიძისთვის 20 ელექტრონული წერილი იყო გაგზავნილი და მიუხედავად იმისა, რომ პატარიძისგან საპასუხო წერილი ჩვენს ხელთ არსებულ კორესპონდენციაში არ იძებნება, გაგზავნილი წერილის შინაარსიდან აშკარად იკვეთება, რომ კორესპონდენცია ცალმხრივი არ იყო და ეს სქემა გამართულად მუშაობდა.

სურათი N2[11]



სურათზე N2 წარმოდგენილია პატარიძისთვის გაგზავნილი წერილის ტიპური ტექსტი, თუმცა კორესპონდენციაში გვხვდებოდა უფრო ვრცელი ტექსტებიც (იხილეთ სურათი N3 და N4), რომლებშიც ცხადად ჩანდა, რომ კომუნიკაცია ცალმხრივი არ იყო.

სურათი N3



[11] აქ და შემდგომ ელექტრონული წერილების ე.წ. „სქრინშოთები“ წარმოადგენს securgd@gmail.com-იდან mbox ფორმატში გადმოწერილ კორესპონდენციას, რომელიც შემდეგ გახსნილია ელ. ფოსტის კლიენტ პროგრამაში Mozilla Thunderbird. აღნიშნულის გამო, კორესპონდენციის ვიზუალი განსხვავდება Gmail-ის ინტერფეისისაგან.

სურათი N4


From sec gd <securgd@gmail.com>
Reply | Reply All | Forward | Archive | Junk | Delete | More
To gpataridze@justice.gov.ge
21.12.2018, 12:12 PM
Subject

მოგესალმებით, ჩვენს მიერ გადმოგზავნილი პირობითების სიიდან, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბექა [redacted], დაჩი [redacted], დავით [redacted] და გაგა [redacted], რომლებიც არ არიან ინფორმირებულები არც დადებით, არც უარყოფით პასუხზე. ასევე გთხოვთ ელექტრონულად მოგვაწოდოთ გადმოსაგზავნი პირობითებისა და უფლებების შეზღუდვის შესახებ პირთა სია, დადებითად თუ უარყოფითად გადაწყვეტის სახით.
მადლობა წინასწარ.

სურათებზე N3 და N4 წარმოდგენილი წერილის ტექსტებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ მიღებული სიების საპასუხოდ იუსტიციის მინისტრის მოადგილისგან, სავარაუდოდ, იგზავნებოდა პასუხები, რომლებშიც აღნიშნული იყო ის, თუ როგორ გადაწყდა სიაში მყოფი პრობაციონერების მოთხოვნები. კორესპონდენციაში არსებობს 2018 წლის 27 ნოემბერს securgd@gmail.com-დან turkiadavid@gmail.com და taso.butkhuzi@gmail.com-ზე გაგზავნილი წერილი, რომელიც ამ გარემოებას არაპირდაპირ ადასტურებს (იხილეთ სურათი N5):

სურათი N5


From sec gd <securgd@gmail.com>
Reply | Reply All | Forward | Archive | Junk | Delete | More
To taso.butkhuzi@gmail.com
27.11.2018, 4:37 PM
Subject

გიგზავნით პირთა სიებს, რეგიონების მიხედვით, რომელთა საკითხი პირობითებისა და უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყდა დადებითად. მოცემულ სიებში არსებული ყველა პირი ინფორმირებულია.

1 attachment: პასუხები.rar 109 KB
Save

ზემოაღნიშნულ წერილზე მიმაგრებული იყო მონაცემთა ბაზების ფაილები, რომელშიც წარმოდგენილი იყო თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონიდან შედგენილი 1,600-ზე მეტი პირის სია. როგორც ჩანს, ეს იყო ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მიერ იუსტიციის მინისტრის მოადგილისთვის მიწოდებულ პრობაციონერთა საქმეებზე რეაგირების შესახებ – იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთა მოთხოვნებიც დაკმაყოფილდა.

გარდა securgd@gmail.com-ის კორესპონდენციისა, ჩვენს ხელთ არსებულ სხვა დოკუმენტებში იძებნება სავარაუდოდ მცხეთის მერის და პარტიის საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი კაპანაძის 2018 წლის 19 ნოემბრით დათარიღებული წერილი „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის და რეგიონული მდივნის დიმიტრი სამხარაძის სახელზე, რომლითაც კაპანაძემ 9 პრობაციონერისგან შემდგარი სია გააგზავნა და მათთვის „სათანადო დახმარების“ გაწევა მოითხოვა (იხილეთ სურათი N6).

სურათი N6

მპგ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

აღმასრულებელ მდივანს, ბ-ნ ირაკლი კობახიძეს,

მპგ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“

რეგიონალურ მდივანს, ბ-ნ დიმიტრი სამხარაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

წარმოგიდგენთ პრობაციონერთა სიას:

[redacted] 173-ემხლი, მისჯილი ჰქონდა 5 წელი, დარჩენილი აქვს 11 თვე.

[redacted] 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მისჯილი ჰქონდა 3 წელი, დარჩენილი აქვს 7 თვე.

[redacted] 177-ე მუხლი, მისჯილი ჰქონდა 2 წელი, დარჩენილი აქვს 40 დღე.

[redacted] 177-ე მუხლი, მისჯილი ჰქონდა 2 წელი, დარჩელი აქვს 40 დღე.

[redacted] 177-ე მუხლი, მისჯილი ჰქონდა 2 წელი დარჩენილი აქვს 3 თვე.

[redacted] 141-ე მუხლი მისჯილი ჰქონდა 3 წელი, დარჩენილი აქვს 6 თვე

[redacted] 273-ე მუხლი მისჯილი ჰქონდა 2 წელი, დარჩენილი აქვს 10 თვე.

[redacted] 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი მისჯილი ჰქონდა 5 წელი, დარჩენილი აქვს 3,6 წელი.

[redacted] მისჯილი ჰქონდა 5 წელი, დარჩენილი აქვს 3,5 წელი.

გთხოვთ აღნიშნულ პირებს გაუწიოთ სათანადო დახმარება.

პატივისცემით,

მცხეთის საოლქო ორგანიზაციის

შტაბის უფროსი: გიორგი კაპანაძე

როგორც „ტვ პირველის“ ერთ-ერთი რეპორტაჟიდან ირკვევა, ჩამოთვლილი პრობაციონერებიდან რამდენიმეს პირობითი მსჯავრი მართლაც გაუუქმდა.[12]

პირობითი მსჯავრის დანიშვნისა და გაუქმების საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული.[13] სასამართლოს მიერ მსჯავრდებულს პირობითი მსჯავრი იმ დათქმით ენიშნება, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს და მის დახმარებას ახორციელებს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო” (პრობაციის ეროვნული სააგენტო).

პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი. ამ საკითხზე გადაწყვეტილებას არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (მუდმივმოქმედი კომისია) იღებს. მუდმივმოქმედ კომისიას შუამდგომლობით პრობაციის ბიუროს უფროსი, მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე, მიმართავს.

მუდმივმოქმედი კომისია 5 წევრისაგან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი პრობაციის ეროვნული სააგენტოს ორი თანამშრომლისაგან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ერთი თანამშრომლისაგან, აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შედგება. მუდმივმოქმედი კომისია გადაწყვეტილებას დამსწრეთა უმრავლესობით იღებს. მისი საქმიანობა დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.[14]

შესაბამისად, ზემოთ აღწერილი ფორმით, არჩევნებში მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობის სანაცვლოდ პირისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმების შეპირება ან/და ამგვარი მოქმედების განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას, ამომრჩეველთა მოსყიდვასა და ცალკეული თანამდებობის პირების სამოხელეო დანაშაულს.

1.2.2. პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია

იმ ინფორმაციისა და ვარაუდების გადასამოწმებლად, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში პირობითი მსჯავრის მოხსნის საკითხი ამომრჩევლის მოსასყიდად

---

[12] „ნოდარ მელაძის შაბათი“, „ტვ პირველი“, 23.10.2021, https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/574496877191500, 16:31 წთ.

[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 63-ე და 67-ე მუხლები.
საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 22 პრიმა.

[14] საქართველოს იუსტიციის მინისტრის №321 ბრძანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

გამოიყენებოდა, მივმართეთ პრობაციის ეროვნული სააგენტოს და გამოვითხოვეთ სტატისტიკა პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში მუდმივმოქმედმა კომისიამ წინა თვეებთან შედარებით მრავალჯერ მეტი ოდენობის პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე მიიღო გადაწყვეტილება (იხილეთ დიაგრამა N1).



ინფორმაციის წყარო: პრობაციის ეროვნული სააგენტო

მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ დადებითი გადაწყვეტილებების ანომალიური ზრდა ჩვენს ხელთ არსებული კორესპონდენციის განხორციელების პერიოდს ემთხვევა. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წლის მხოლოდ ნოემბერ-დეკემბერში 3,000-ზე მეტ პირს მოეხსნა პირობითი მსჯავრი, შესაბამისად, ეს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის წინა ქვეთავში აღწერილი სქემის ნამდვილობას,

რომლის მიხედვითაც ოქტომბერ-იანვრის ჩათვლით პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე 1700-მდე პირის შესახებ ინფორმაცია იყო გადაგზავნილი პრობაციის ეროვნულ სააგენტოში.

გარდა ამისა, პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ მუდმივმოქმედი კომისია 2018 წლის ნოემბერში და დეკემბერში 13-ჯერ შეიკრიბა, მაშინ როდესაც მანამდე თვეში ერთხელ იკრიბებოდა (იხილეთ დიაგრამა N2).



ინფორმაციის წყარო: პრობაციის ეროვნული სააგენტო

როგორც მონაცემებიდან ჩანს, კომისია 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა, ნოემბერში 7-ჯერ შეიკრიბა, ხოლო დეკემბერში 6-ჯერ, მაშინ როდესაც წინა პერიოდში მხოლოდ თვეში ერთხელ იკრიბებოდა. შედეგად ამავე პერიოდში დაახლოებით 50-ჯერ მეტი პირობითი მსჯავრის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, ვიდრე ჩვეულებრივ იღებდა წინა თვეებში.

1.2.3. მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლება

პრობაციონერების სიების გარდა, securgd@gmail.com-დან გიორგი პატარიძისთვის გაგზავნილ წერილებში, ასევე, იყო ინფორმაცია 70-მდე მსჯავრდებულზე, ვინც პენიტენციური დაწესებულებიდან (სასჯელის მოხდისაგან) პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებას ითხოვდა. როგორც კორესპონდენციიდან და გაგზავნილი მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, მსჯავრდებულების ოჯახის წევრები ან/და თავად მსჯავრდებულები გათავისუფლების შემთხვევაში პირობას დებდნენ, რომ იმუშავებდნენ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ხმების მობილიზებისთვის, ხოლო პარტია მათ სიებს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს უგზავნიდა.[15]

სურათზე N7 და N8 ასახულია ფრაგმენტები გაგზავნილი სიებიდან, რომლებშიც ჩანს, თუ რა ფორმით ხდებოდა გიორგი პატარიძისთვის პარტიიდან ინფორმაციის მიწოდება.

სურათი N7

A	B	C	E	F	G	H
	სახელი, გვარი	**პირადი ნომერი**	**მიზეზი რის გამოც იხდის სასჯელს**	**სასჯელის ხანგრძლივობა**	**რა ვადაა გასული**	**მოთხოვნა**
1	[illegible]	[illegible]	სსსკ 260 -ე მუხლის მე-6 ნაწილით.(განს.დიდი ოდენობა გრ მეტადონს შეძენა-შენახვა) და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილით (განს.დიდი ოდენობა, 1,78 მეტადონის საქართველოში შემოტანა)	3 წელი თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით პირობითი ასევე დაეკისრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით	მოხდილი აქვს სასჯელის წახევარზე მეტი (21 თვე)	თუ შეგვიძლია რაიმე შეღავათი მაინც რომ გავუწიოთ. შედეგზე კარგად აისახება მთელი უბანი უნევს რეკომენდაციას.

სურათი N8

	სახელი, გვარი	**პირადი ნომერი**	**მიზეზი რის გამოც იხდის სასჯელს**	**სასჯელის ხანგრძლივობა**	**რა ვადაა გასული**	**მოთხოვნა**	**შენიშვნა**
1	[illegible]	[illegible]	177-ე მუხლის 4 ნაწილი	6 წელი	[illegible] 2015 დაიჭირეს [illegible] .202[illegible] წელი სასჯელის დასასრული	[illegible] იანვარს ეხება უდო და იქნებ რამე შეღავათი შეეხოს.	გვეხმარება შვილი [illegible] გლდაწის [illegible] დიდი რესურსით.

მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო (ადგილობრივი საბჭო)

[15] ჩვენ მიერ გამოთხოვილი იქნა, მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მოგვაწოდა.

იღებს.[16] ეს საკითხი შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების შუამდგომლობის ან მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე მას შემდეგ განიხილება, რაც მსჯავრდებული სასჯელის კანონით განსაზღვრულ ნაწილს მოიხდის.[17]

ამჟამად სულ ექვსი ადგილობრივი საბჭო მოქმედებს. თითოეული საბჭო 5 წევრისაგან, მათ შორის სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისაგან, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების და ზოგად საგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან შედგება. ამ პირებს ერთი წლის ვადით სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი ნიშნავს.

ადგილობრივი საბჭო გადაწყვეტილებას დამსწრეთა უმრავლესობით იღებს. მისი საქმიანობა დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.[18]

ზემოთ აღწერილი ფორმით მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაც წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას, ამომრჩეველთა მოსყიდვასა და ცალკეული თანამდებობის პირების სამოხელეო დანაშაულს.

1.2.4. შეჩერებული ან ჩამორთმეული მართვის მოწმობის დაბრუნება

წინა შემთხვევების მსგავსად, 2018 წლის ოქტომბერი - 2019 წლის იანვრის შუალედში securgd@gmail.com-დან სავარაუდოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსთან, ალექსანდრე ხოჯევანიშვილთან იმ 900-მდე პირის სია გაიგზავნა, ვისაც შეჩერებული ან ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

ამ შემთხვევაშიც მოქმედების სქემა იგივე იყო. როგორც ჩანს, პარტიის სასარგებლოდ ხმების მობილიზების სანაცვლოდ, „ქართული ოცნება“ ამ პირებისთვის შეჩერებული/ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენის საქმეს უწევდა ორგანიზებას.

სურათებზე N9, N10 და N11 ჩანს სავარაუდოდ ხოჯევანიშვილისთვის გაგზავნილი სიების ფრაგმენტები, რომლებშიც ასახულია ის, თუ კონკრეტულად რა ტიპის ინფორმაცია მუშავდებოდა და იგზავნებოდა მასთან.

---

[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72-73.

[17] ეს ვადა დანაშაულის სიმძიმისა და კატეგორიის მიხედვით განსხვავებულია.

[18] საქართველოს იუსტიციის მინისტრის №320 ბრძანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ

სურათი N9

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	მიზეზი(რის გამოც ჩამოერთვა მართვის მოწმობა)	მართვის უფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა	რა ვადაა გასული მართვის მოწომობის ჩამორთმევიდან დღემდე	მოთხოვნა	შენიშვნა
1				სიმთვრალე	6 თვე	2 თვე	მართის მოწმობის დაბრუნება	გვეხმარება მუხიანში
2				სიმთვრალე	6 თვე	2 თვე	მართის მოწმობის დაბრუნება	გვეხმარება მუხიანში

სურათი N10

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	მიზეზი(რის გამოც ჩამოერთვა მართვის მოწმობა)	მართვის უფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა	რა ვადაა გასული მართვის მოწომობის ჩამორთმევიდან დღემდე	მოთხოვნა	შენიშვნა
			სიმთვრალე	2018-2019	2 თვე	მართვის მოწმობის აღდგენა	მეხმარება სოფ. გლდანში
			სიმთვრალე	2018-2019	2 თვე	მართვის მოწმობის აღდგენა	მეხმარება სოფ. გლდანში

სურათი N11

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონი	მიზეზი(რის გამოც ჩამოერთვა მართვის მოწმობა)	მართვის უფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა	რა ვადაა გასული მართვის მოწომობის ჩამორთმევიდან დღემდე	მოთხოვნა	შენიშვნა
1				ერთი ბოთლი ლუდით თრობა	6 თვე	3 თვე	მართვის მოწმობის დაბრუნება	
2				ნარკოტიკური თრობის საფუძველზე	3 წელი	2 წელი	მართვის მოწმობის დაბრუნება	
3				კანაფის თრობის ქვეშ მართავდა მანქანას	5 წელი	4.5 წელი	მართვის მოწმობის დაბრუნება	
4				მუხლი 19. 260	ვადა გასულია		თუ შესაძლებელია მართვის მოწმობისდინამიური შემოწმების გარეშე დაბრუნება	დინამიურ შემოწმებას თხოვენ რომ დაიბრუნოს მართვის მოწმობა
5				260-ს პირველი ნაწილი	6 თვე	4 თვე	მართვის მოწმობის დაბრუნება	

განსაკუთრებით საინტერესო N11 სურათზე ასახული ინფორმაციაა, რომლითაც იკვეთება, რომ პირი პარტიას მართვის უფლების დაბრუნებისთვის აუცილებელი დინამიური-

ნარკოლოგიური შემოწმების გვერდის ავლაში დახმარებას სთხოვს, პარტია კი ამ თხოვნას შსს-ს მაღალჩინოსანს უგზავნის.

ამასთანავე, საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს 2018 წლის 22 ნოემბერს securgd@gmail.com-დან მისამართებზე gpataridze@justice.gov.ge (გიორგი პატარიძე) და akhojevanisvhili@yahoo.com (ალექსანდრე ხოჯევანიშვილი) გაგზავნილ წერილზე მიბმული ფაილი, რომელიც 6 პრობაციონერის მიმართ სასჯელის შემსუბუქების თხოვნას შეიცავს. მათ შორის ერთ პირზე მითითებულია, რომ მას სამსახურიდან სთხოვენ ნარკოლოგიურ ცნობას „სამხარაულის ბიუროდან“ და ის, როგორც მარიხუანას მომხმარებელი, „არ იქნება სუფთა“ და ამიტომ იგი ითხოვს დახმარებას (იხ. სურათი N12)

სურათი N12


თავისუფლების აღკვეთა 3 წელი (მოხდილი). პირობით გამოსაცდელი ვადა 5 წელი.
ითხოვს გამოსაცდელი ვადის განახევრებას

6. **დავით** [redacted] **დაბ:** [redacted] **პ/წ** [redacted]

გასული აქვს აკრძალვის ვადა, **ცნობა უნდა სამსახურიდან.** (ცნობის გაცემის დრო მას სთხოვენ ნარკოლოგიურ შემოწმებას სამხარაულის ბიუროში და როგორც მარიხუანის მომხმარებელი შიშობს, რომ არ იქნება სუფთა).

ამ შემთხვევაზეც „ტვ პირველმა“ სიუჟეტი მოამზადა, სადაც თავად პრობაციონერიც ადასტურებს წერილში მოყვანილ მნიშვნელოვან გარემოებებს.[19]

როგორც აღინიშნა, მისამართიდან securgd@gmail.com სავარაუდოდ ალექსანდრე ხოჯევანიშვილთან 18 წერილი გაიგზავნა, რომელიც ძირითადად მართვის უფლების აღდგენას ეხებოდა (პრობაციონერთან დაკავშირებული ზოგიერთ წერილი, როგორც გიორგი პატარიძესთან, ისე ხოჯევანიშვილთანაც არის გაგზავნილი). გაგზავნილი წერილების ტექსტი, როგორც წესი, ვრცელი არ იყო და მოკლე ინფორმაციით შემოიფარგლებოდა (იხილეთ სურათები N13 და N14).

[19] „ნოდარ მელაძის შაბათ“, „ტვ პირველი“, 22.10.2021, https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/574496877191500

სურათი N13



სურათი N14



გარდა მართვის მოწმობის დაბრუნების მოთხოვნისა, ალექსანდრე ხოჯევანიშვილთან securgd@gmail.com-იდან 2018 წლის 10 ნოემბერს აგრეთვე გაიგზავნა წერილი, რომელშიც ოთხი პირისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ჯარიმის გაუქმება იყო მოთხოვნილი (იხილეთ სურათები N15 და N16).

სურათი N15


From sec gd <securgd@gmail.com>
Reply | Reply All | Forward | Archive | Junk | Delete | More
To akhojevanishvili@yahoo.com
10.11.2018, 12:56 PM
Subject
მოგესალმებით, გიგზავნით საპატრულო ჯარიმებს.
1 attachment: საპატრულოს ჯარიმა.xlsx 9.6 KB
Save
საპატრულოს ჯარიმა.xlsx 9.6 KB

სურათი N16

სახელი გვარი	პირადი ნომერი	ტელეფონის ნომერი	პრობლემა	მოთხოვნა	შენიშვნა
			საპატრულო პოლიციის ჯარიმა (1000 ლარი) ნასვამი, მართვის მოწმობის არქონა	ჯარიმის მოხსნა	
			საპატრულო პოლიციის ჯარიმა (1700 ლარი) ნასვამი, მართვის მოწმობის არქონა	ჯარიმის მოხსნა	ნასამართლეობის გაქარწყლება
			საპატრულო პოლიციის ჯარიმა (1600 ლარი) ნასვამი, მართვის მოწმობის არქონა	ჯარიმის მოხსნა	საბანკო ანგარიშს ადევს ყადაღა
			სასაპატრულო პოლიციის ჯარიმა (1500 ლარი) ნასვამი, მართვის მოწმობის არქონა	ჯარიმის მოხსნა	

ეს დოკუმენტიც „ტვ პირველის“ ერთ-ერთ რეპორტაჟში იყო ნაჩვენები. დოკუმენტში მითითებულმა ერთ-ერთმა პირმა ჟურნალისტთან დაადასტურა, რომ მას ნამდვილად გაუუქმეს საპატრულო პოლიციის მიერ დაკისრებული ჯარიმა.[20]

ქართული კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებასა და ჩამორთმევას. მართვის უფლების შეჩერება არის ადმინისტრაციული სახდელის სახე, რომელიც პირს სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის გამო შეიძლება დაეკისროს. მართვის უფლება კი პირს ჩამოერთმევა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის

[20] „ნოდარ მელაძის შაბათი“, „ტვ პირველი“, 22.10.2021, https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/574496877191500, 12:55 წთ.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 45-ე პრიმა მუხლის[21] საფუძველზე.

განსხვავებულია, ამ უფლების აღდგენის მექანიზმები და პროცედურები:

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ მესამედის გასვლის შემდეგ, უფლებაჩამორთმეული პირის განცხადების საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ჩამორთმეული უფლების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ განცხადებას თან უნდა ერთოდეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ექსპერტის დასკვნა.

პირს შეჩერებული მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით საქმის განმხილველი ორგანოსთვის მიმართვის უფლება წარმოეშობა, თუ გასულია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადის არანაკლებ ნახევარი.[22] ამ შემთხვევაში, პირს მართვის უფლება ვადამდე აღუდგება (1) თუ იგი ხელახლა ჩააბარებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ გამოცდას ან (2) გადაიხდის ფულად თანხას და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას სამართალდამრღვევისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ვადამდე აღდგენის შესახებ.

1.2.5. პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია

პრობაციის ეროვნული სააგენტოსგან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენის შესახებ ინფორმაცია გამოვითხოვეთ. მიღებული სტატისტიკა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მართვის უფლების შეზღუდვის აღდგენასა და ვადის შემცირებაზე 2018-2019 წლებში გაცემული თანხმობების შესახებ მონაცემებს ასახავს (იხილეთ დიაგრამა N3).

[21] მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, მოხმარება ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა

[22] 2017 წლის 21 აპრილიდან 2021 წლის 7 სექტემბრამდე ეს ვადა სამ თვეს შეადგენდა.



ინფორმაციის წყარო: პრობაციის ეროვნული სააგენტო

როგორც დიაგრამა N3-დან ჩანს, მართვის უფლების აღდგენის შესახებ დადებითი გადაწყვეტილებების განსაკუთრებით დიდი ოდენობა ემთხვევა ამ თავში აღწერილი სქემის მოქმედების პერიოდს. 2018 წლის ნოემბერში გაცემული თანხმობები რამდენჯერმე აღემატება წინა და შემდეგი თვეების მაჩვენებლებს.

1.2.6. მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე გავლენის მოხდენა

2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის იანვრის პერიოდში securgd@gmail.com-დან როგორც გიორგი პატარიძესთან, ისე ალექსანდრე ხოჯევანიშვილთან ასევე გაიგზავნა 20-მდე პირის სია, რომლებზეც მიმდინარეობდა სისხლის სამართლებრივი დევნა და წერილებით მოთხოვნილი იყო სასჯელის შემსუბუქება (ძირითადად საპროცესო შეთანხმების გაფორმება). გაგზავნილი სიების ფრაგმენტი იხილეთ სურათზე N17.

სურათი N17

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მიზეზი რის გამოც იხდის სასჯელს	სასჯელის ხანგრძლივობა	რა ვადაა გასული	მოთხოვნა	შენიშვნა
		სსკ-ის 180-ე მუხლის 2ა და 3 ბ, 362-ე მუხლის 1	ჯერ მსჯავრი არარის გამოტანილი	ჯერ მსჯავრი არარის გამოტანილი	საპროცესო შეთანხმებაზე თანახმაა.	მუხიანის აგარაკებში გვეხმარება
		126-ე მუხლიოს 1 ნაწილი	ჯერ მსჯავრი არარის გამოტანილი	ჯერ მსჯავრი არარის გამოტანილი	საპროცესო შეთანხმებაზე თანახმაა.	ვაკე- საბურთალოზე გვეხმარება
					საპროცესო შეთანხმება	დაიჭირეს 2018 წლის , მუხლი 260-ე ნაწილი.

დოკუმენტებში არსებული ერთ-ერთი პირის შესახებ ინფორმაცია „ტვ პირველის“ რეპორტაჟშიც მოხვდა,[23] რომელშიც ნახსენები პირის მამამ დაადასტურა, რომ მის შვილს, რომელსაც ქურდობის გამო ბრალდება ჰქონდა წარდგენილი და ნამდვილად გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. სიუჟეტში, აგრეთვე, საუბარია დოკუმენტებში არსებულ მეორე პირზეც, რომელიც პატიმრობიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად გათავისუფლდა. კიდევ ერთ მედია რეპორტაჟში კი, რომელიც ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ გადაიცა, ერთ-ერთმა მოქალაქემ ასევე დაადასტურა, რომ არჩევნებზე მხარდაჭერის სანაცვლოდ მას სასჯელი შეუმსუბუქეს.[24]

1.2.7. სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესება

2018 წლის 18 ოქტომბერს truqiadavid@gmail.com-დან secrugd@gmail.com-ზე გაიგზავნა წერილი, რომლის მიხედვითაც, გლდანის გამგებელი **ბექა მიქაუტაძე** ორი მსჯავრდებულისთვის ითხოვდა სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესებას, რათა სანაცვლოდ ეს პირები საარჩევნო ხმების მობილიზებაში დახმარებოდნენ (წერილზე მიბმული ფაილების ფრაგმენტები იხილეთ სურათებზე N18 და N19).

[23] „ნოდარ მელაძის შაბათ“, „ტვ პირველი“, 22.10.2021, https://www.facebook.com/SaturdayofNodarMeladze/videos/574496877191500, 7:45 წთ.

[24] „როგორ იყენებს "ოცნება" ადამიანებს და რა გზებით აგროვებს ხმებს“, „მთავარი არხი“, 7.10.2021, https://www.facebook.com/watch/?v=861357581223802

სურათი N18

მოგახსენებთ, რომ [redacted] რაიონში, კერძოდ, [redacted] ში ცხოვრობს დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება : ლევანი [redacted] (პ/წ [redacted]) დაბადების თარიღი [redacted] ის სასჯელს იხდის გლდანის [redacted] დაწესებულებაში.

ჩვენ თუ შევძლებთ არჩევნებამდე ამ პიროვნების #15 წახევრადღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანას,(ქსნის ზონა) ჩვენ მოვახერხებთ გლდანის მასივის ქუჩის ბიჭების მხარდაჭერის მოპოვებას და საკმაო რაოდენობის ხმის მიღებას.

პატივისცემით,

ბექა მიქაუტაძე

თარიღი: 18.10.2018

სურათი N19

მოგახსენებთ, რომ [redacted] რაიონში, კერძოდ, [redacted] -ში ცხოვრობს გარკვეული ავტორიტეტის მქონე პიროვნება: [redacted] , დაბადებული [redacted] (პ/წ [redacted]) ის სასჯელს იხდის გლდანის #8 დაწესებულებაში. ([redacted])

ჩვენ თუ შევძლებთ არჩევნებამდე ამ პიროვნების ე.წ. მატროსოვის ზონაზე # 9 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანას,) ჩვენ მოვახერხებთ სოფ გლდანიში გარკვეულ კატეგორიის მხარდაჭერის მოპოვებას და საკმაო რაოდენობის ხმის მიღებას.

პატივისცემით,

ბექა მიქაუტაძე

თარიღი: 18.10.2018

აღსანიშნავია, რომ ბექა მიქაუტაძის მიერ ხელმოწერილი მსგავსი შინაარსის წერილი ჩვენს ხელთ არსებულ სხვა ფაილებშიც იძებნება (იხილეთ სურათი N20).

სურათი N20



მოგახსენებთ, რომ [redacted] რაიონში, კერძოდ [redacted], ცხოვრობს გარკვეული ავტორიტეტის მქონე პიროვნება: [redacted], დაბ. [redacted] ის სასჯელს იხდის ბათუმის #3 იზოლატორში.

ჩვენ თუ შევძლებთ არჩევნებამდე ამ პიროვნების გლდანის ციხეში გადმოყვანას (სადაც მას წვდომა ექნება ტელეფონთან-შიდაგანაწესის მიხედვით) ჩვენ მოვახერხებთ მუხიანის ქუჩის ბიჭების მხარდაჭერის მოპოვებას და საკმაო რაოდენობის ხმის მიღებას.

პატივისცემით,

ბექა მიქაუტაძე

13. 10. 2018

სამივე წერილში აშკარად ჩანს, რომ მოთხოვნილი იყო არაფორმალური გზით პატიმართა პირობების გაუმჯობესება, რომლის მიზანიც მათი წინასაარჩევნო მიზნით გამოყენება იყო.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებულ კორესპონდენციაში არ იძებნება ამ პირებზე ინფორმაციის პატარიძის, ხოჯევანიშვილის ან სხვა თანამდებობის პირისთვის მიწოდების მტკიცებულება, თუმცა ვინაიდან ასეთი დოკუმენტები შიდა მიმოწერაში არსებობს, შესაძლოა, ისინი შესაბამისი უწყებისთვის სხვა გზითაა მიწოდებული.

1.3. სხვა დოკუმენტების შინაარსი

1.3.1. შემოსავლების სამსახურის საარჩევნო მიზნებით გამოყენება

მამხილებლის მიერ მოწოდებულ მასალებში აღმოჩნდა ერთი დოკუმენტის ელექტრონული ვერსია, რომელშიც მოცემული იყო 28 ორგანიზაციისა და ფიზიკური პირის ჩამონათვალი (ინდ. მეწარმე, შპს, ა(ა)იპ, ფიზიკური პირი). როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ეს პირები სხვადასხვა სახის სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ და სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება ჰქონდათ. დოკუმენტში ასახულია მათი საგადასახადო დავალიანება (მათ შორის ჯარიმა, საურავი), აგრეთვე, „განცხადებით შემოთავაზებული თანხა“ და „განცხადებით შემოთავაზებული თანხის გადახდის ვადა“.

როგორც ჩანს, დოკუმენტში ჩამოთვლილი იყო ის 28 იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელთაც შემოსავლების სამსახურს საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე განცხადებით მიმართეს. ამ დოკუმენტში განსაკუთრებით საყურადღებო „შენიშვნის“ გრაფა იყო (იხ. სურათი N21 და N22), რომელიც მოიცავდა განმცხადებლის შესახებ როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ისე ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცულ მონაცემებს. მაგალითად, მასში მოცემული იყო პირისა (კომპანიის შემთხვევაში მესაკუთრის) და მისი ოჯახის წევრებთან (და არა მარტო ოჯახის წევრების) დაკავშირებით არსებული სისხლის სამართლის საქმეები, საზღვრის კვეთის ცნობები, შემოსავალი და ა.შ. ამავე გრაფაში აღნიშნული იყო, პირს რაიმე სახის კავშირი ჰქონია თუ არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან (შემოწირულება, კონტრაქტი, ანაზღაურება).

სურათი N21

№	გადამხდელის დასახელება	ს/ნომერი	საგადასახადო შემოწმება	საგადასახადო დავალიანება	მათ შორის				განცხადებით შემოთავაზებული თანხა	განცხადებით შემოთავაზებული თანხის გადახდის ვადა	შენიშვნა
					ძირითადი	ჯარიმა	ჯარიმა	საურავი			
21	ფ.პ "თეიმურაზ [redacted]	[redacted]	დაკლარირებული	1 655	1 038	0	0	617	1 050	90	მიწის გადასახადი (სასოფლო). იურ. მის: [redacted] თეიმურაზ [redacted] 2013 წელს ხელფასის სახით ერთჯერადად 100 ლარი მიღებული აქვს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებიდან "საქართველოს ევროპელი დემოკრატები", ხოლო 2018 წელს ასევე 100 ლარი მპ-დან "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის". თეიმურაზ [redacted] მეუღლეს - [redacted] 2018 წელს ხელფასის სახით ერთჯერადად 100 ლარი მიღებული აქვს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებიდან "მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის". თეიმურაზ [redacted] არის მამუკა [redacted] მეუღვარე, რომელსაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებიდან "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2010 წელს ხელფასის სახით მიღებული აქვს 125 ლარი, ხოლო 2012 წელს 60 ლარი.
22	ი/მ "ცირა [redacted]	[redacted]	დაკლარირებული	2 755	663	0	66	2 025	730	60	საქმიანობა: ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობა.. იურ. მისამართი: გურეკაანის [redacted] მეწარმეს 2018 წლიდან ბრუნვა არ უფიქსირდება.
23	ი/მ "ბესარიონ [redacted]	[redacted]	ინვენტარიზაცია	29 656	17 444	11	10 859	1 342	19 000	30	საქმიანობა: საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა. იურ. მისამართი: ბორჯომის რაიონი, [redacted] ბესარიონ [redacted] ბმას - [redacted] წელს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და სსკ-ის [redacted]

სურათი N22



№	გადამხდელის დასახელება	ს/ნომერი	საგადასახადო შემოწმება	საგადასახადო დავალიანება	მათ შორის				გაწეხდებით შემოთავაზებული თანხა	გაწეხდებით შემოთავაზებული თანხის გადახდის ვადა	შენიშვნა
					ძირითადი	ვებსაბი	ჯარიმა	საურავი			
8	შპს		დეკლარირებული	33 786	20 339	0	1 908	11 539	22 247	300	საქმიანობა: ქონების ოჯარა, სახმელეთო ტრანსპორტით საქმიანობა იურ. მისამართი: დირექტორი და დამფუძნებელი: გორა საზოგადოების დირექტორის და 100%-იანი წილის მფლობელის ძმა - ჯემალ არის შსს-ს ყოფილი თანამშრომელი. ჯემალ ჰეუფლეს - უფიქსირდება შემდეგი კრებსი: 2017 წლის დაიწყო გამომიება შპს დირექტორის, რ-ნის სოფ. მგხოვრები, : მიმართ, რომელმაც 2013 წლის თაღლითურად მიითვისა შპს დირექტორის, წ.დ. ლარი. გამომიებას მუხლით აწარმოებს
9	ფ.პ "გიორგი		დეკლარირებული ქონება	22 950	16 754	0	1 675	4 520	16 754	90	ფიზიკური პირის ქონების გადასახადი. იურ. მის: ქ. თბილისი გიორგი 17 საერთო საზღვრის კვეთა აქვს ანზორ , რომელსაც 2010 წელს 125 ლარი აქვს მიღებული მბგ „ერთიანი ნაციონალური მომრაობა"-დან. გიორგი 10 საერთო საზღვრის კვეთა აქვს ვახტანგი რომლის ცოლი- მუშაობს და მისი ხელფასი შეადგენს
											სასოფლო-სამეურნეო მიწა. იურ. მის:

საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პროცედურებისთვის კანონიერი საფუძველი ვერ ექნებოდა ისეთი ინფორმაციის დამუშავებას, როგორიცაა კომპანიის მესაკუთრის, მისი ოჯახის წევრების, ნათესავებისა თუ მეჯვარის (იხილეთ სურათი N21) შესახებ არსებული სისხლის სამართლის საქმეების მონაცემები, მათი კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან, საზღვრის კვეთის ინფორმაცია, სახელფასო ანაზღაურება და ა.შ. **დოკუმენტის ანალიზი აჩენს ეჭვს, რომ შემოსავლების სამსახური გადაწყვეტილებას იღებდა პოლიტიკური საფუძვლებით მმართველ პარტიასა და სუს-თან შეთანხმებით.**

ზემოაღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ტელეკომპანია „ფორმულამ" რეპორტაჟი მოამზადა, რომელშიც ერთ-ერთი პირის ოჯახის წევრმა დაადასტურა საგადასახადო დავალიანების გაუქმების ფაქტი.[25]

შემოსავლების სამსახურთან დაკავშირებით მამხილებლის მიერ მოწოდებულ ფაილებში, აგრეთვე, იძებნება მოხსენებითი ბარათი,[26] რომლის მიხედვითაც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი მიმართავს ირაკლი კობახიძეს, დიმიტრი

[25] ტელეკომპანია „ფორმულა", 7.11.2021, https://www.facebook.com/watch/?v=4386605308122452

[26] 2018 წლის 26 ოქტომბერს securgd@gmail.com-ზე მიღებულია turqiadavid@gmail.com-სგან.

სამხარაძეს და მმართველი პარტიის სხვა თანამდებობის პირებს, რათა მითითებულ პირს უშუამდგომლონ შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოში, რადგან მას „სჭირდება მანქანის დახსნა“ (იხ. სურათი N23).

სურათი N23



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
აღმასრულებელ მდივანს
ბ-ნ ირაკლი კობახიძეს
რეგიონალური და საარჩევნო სამსახურის უფროსს
ბ-ნ დიმიტრი სამხარაძეს
ქვემო ქართლი-კახეთის კურატორს
ბ-ნ ზურა იაშვილს
კახეთის კოორდინატორს
ბ-ნ გიგა ორკოდაშვილს
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, მპგ „ქართული
ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“
თავმჯდომარე : ბ-ნ როსტომ სესიაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

რეკომენდაციას უწევ. გიორგი [redacted] პ/ნ [redacted] ტ/ნ [redacted] შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოში, ყადაღა მოხსნილია, სჭირდება მანქანის დახსნა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, მპგ „ქართული
ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“
თავმჯდომარე : ბ-ნ როსტომ სესიაშვილი

თარიღი: 26.10.2018 წელი

1.3.2. მარნეულში პოლიტიკურ ოპონენტებზე მასშტაბური ზეწოლის გეგმა

securgd@gmail.com-ის კორესპონდენციაში, ასევე, იძებნება 2018 წლის 11 ნოემბრის ე.წ „დაფორვარდებული“ წერილი, რომელიც 9 ნოემბერს mamuka.naveriani@gmail.com-დან მისამართზე gd.reg41@gmail.com გაიგზავნა (იხილეთ სურათი N24). წერილიდან ჩანს, რომ მამუკა ნავერიანი მარნეულში პოლიტიკური ოპონენტების და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობების შესახებ აგზავნის წერილს. მამუკა ნავერიანი 2018 წელს მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტს იკავებდა.

სურათი N24


From GD REG <gd.reg41@gmail.com>
Reply | Reply All | Forward | Archive | Junk | Delete | More
To securgd@gmail.com
11.11.2018, 5:08 PM
Subject **Fwd: მარნეული მოწინააღმდეგები**

ესენი არიან მოწინააღმდეგეები მარნეულში

---------- Forwarded message ---------
From: **mamuka naveriani** <mamuka.naveriani@gmail.com>
Date: პარ, 9 ნოე. 2018, 00:27
Subject: მარნეული მოწინააღმდეგები
To: <gd.reg41@gmail.com>

მუხბე გიგზავნი მოწინააღმდეგეების სიას ორი ფორმით,(ორივე სიაში შემადგენლობა იგივეა)ერთი არის გადაჯგუფებული ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების მიხედვით მეორე კი გადაჯგუფებულია ზემოქმედების სფეროების მიხედვით.
წარმატებები...

2 attachments 75.0 KB | Save All
მოწინააღმდეგეები 07.11.18.docx 44.6 KB | მოწინააღმდეგეები.-ბერკეტები. (1) (1).docx 30.4 KB

როგორც ტექსტში არის აღნიშნული, წერილს თან ახლავს ორი დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი 18 გვერდისგან შედგება და მასში მარნეულის მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის მიხედვით დეტალურადაა აღწერილი ის პირები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ არ უჭერენ მხარს (სულ 200-მდე ადამიანი). დოკუმენტში აღწერილია ამ პირების საქმიანობა, ნათესაური კავშირები, სოციალური კავშირები და გავლენები. განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული ისეთ შემთხვევებს, როდესაც ოპოზიციურად განწყობილ პირს ან მის ოჯახის წევრს აქვს ბიზნესი (როგორც წესი, საუბარია მცირე ბიზნესზე - მაღაზია, ავტო სამრეცხაო, ჩაიხანა და ა.შ.), ან მუშაობს საბიუჯეტო ორგანიზაციაში. აგრეთვე, დოკუმენტში ხშირად არის მითითებული, რომელიმე პირი ფლობს თუ არა არაპრივატიზებულ მიწას; ზოგიერთი ბიზნესის მესაკუთრის გასწვრივ მიწერილია სიტყვა „ზედამხედველობა”, აგრეთვე ახალგაზრდებზე გვხვდება მითითება „ჯარი”. სურათზე N25 ამ 18 გვერდიანი დოკუმენტის მხოლოდ ერთი გვერდია ასახული.

სურათი N25

- –5
- –5, ყავს სატვირთო , და დაყავს დიდი რაოდენობით მუშების თითო 3 ლარად.
- –5, ტაქსისტი. იღებდა სოც. დახმარებას.

- –2, ყავს ოპელი და სოკართან დილით ხვდება ავტობუსს და იღებს უაქციზო სიგარეტს
- –5, მუშაობდა , სავარაუდოდ აქვთ მასზე ზემოქმედების ბერკეტები. ცოლი– –სავარაუდოდ ვაჭრობს ბაზარში
- –5, აქვს მაღაზია და საქონლის ფერმა
- –2, ყავს ყიდულობს საქონელს, კლავს და აბარებს(ზედამხედველობა, სურსათის უვნებლობა, შემოსავლების სამსახური)
- -აკოშ
- –5, აქვს ფერმა, აქვს მიწა და აქირავებს სომხებზე ლარად. შვილიშვილები უძღვებიან საქმეს
- –5, 50 ჰა . ცხვარი, ძროხა

სოფ.

- –5, აქვს მაღაზია
- –5, წლის ბიჭი (ჯარი)
- –2, ყავს ორი ბიჭი, რომლებიც ჯარში არ ყოფილან
- –5, (ახალგაზრდა) ჯარში არ ყოფილა

პარტიის მხრიდან კონკურენტი პარტიების მხარდამჭერთა შესახებ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის შეგროვება უკანონო ქმედება არ არის, თუმცა დოკუმენტებში გვხვდება ისეთი ინფორმაციაც, რომელიც შესაძლოა არასაჯარო წყაროებიდან არის მოპოვებული. გარდა ამისა, დოკუმენტების შინაარსიდან ჩანს, რომ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებზე ასეთი ინფორმაციის მოძიების მიზანი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით მათზე ზეწოლის მოხდენა იყო. ამას ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც ინფორმაცია დალაგებული იყო იმ ორგანოებს/უწყებების მიხედვით, რომლებიც პირველ დოკუმენტში ჩამოთვლილ პირებზე ზემოქმედების მიზნით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული. ესენია შემოსავლების და ზედამხედველობის სამსახური, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, პოლიცია, პრობაციის სამსახური და სამხედრო კომისარიატი. ცალკე კატეგორიად იყო გამოყოფილი კერძო სექტორი, ჯანდაცვა და პარტია (იხილეთ სურათები N26, N27, N28, N29).

სურათი N26

შემოსავლების სამსახური, ზედამხედველობის სამსახური

- *– არის აზერბაიჯანის მოქალაქე, აქვს სავაჭრო ობიექტი სოფლის ცენტრში (ცოლზე რეგისტრირებული), ჩაიხანა - შემოსავლების სამსახური ჯგუფში და მისი ზეგავლენის ქვეშ არიან:*

1.
2.
3.
4.
5.

- - ხორცის მაღაცია ცენტრში - - შემოსავლების სამსახური

შვილი . მუშაობს მამამისთან. ბიძას- ავტო სახელოსნო აქვს სოფლის ცენტრში - - შემოსავლების სამსახური

- - ,,პურის საცხობი" ცენტრში, მაღაზიაც იმისია - - შემოსავლების სამსახური
- - მარშუტკა ყავს და მუსაობს ხაზზე -მარწეული.
- მამა)- - მარშუტკა ყავს და მუშაობს ხაზზე -მარწეული.
- , - -ყავს მარშუტკა და მუშაობს ხაზზე -მარწეული
-
- – სიძე – აქვს სავაჭრო ობიექტი ეზოში - მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახური, შემოსავლების სამსახური
- – აქვს რესტორანი - შემოსავლების სამსახური და მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახური

სურათი N27

საგანმანათლებლო რესურსცენტრი

- , მეუღლე ყავს პედაგოგი – - რესურსცენტრი

ის ზეგავლენის ქვეშ არიან:

1.
2.

. ცოლი და შვილი არიან პედაგოგები. ცოლი ასწავლის , შვილი

- , ცოლი მუშაობს საშუალო სკლაში ( )-რესურსცენტრი
- – მუშაობს მასწავლებლად სკოლაში
- – - გოგო - მუშაობს საჯარო სკოლაში მასწავლებლად
- , მუშაობდა მასწავლებლად საშუალო სკოლაში. (3 წელი არ მუშაობს) - რესურსცენტრის მეშვეობით შესაძლოა შეთანხმების მიღწევა
- შვილი მუშაობს ბანკის ფილიალში( ), ცოლი( ) მუშაობს საშუალო სკოლაში

სურათი N28

პოლიცია, პრობაციის სამსახური

- . აქვს პირობითი 5 წელი, პოლიცია, პრობაციის სამსახური
- – წიწააღმდეგი არ არის მაგრამ გვჭირდება მისი მხარდაჭერა და აქტივი. შვილი მუშაობს შსს–ში –
- - , დადის დრაბავიკით, ,,ბლატაობს'' –მუშაობს ფირმაში ქვემო და შორის, ტრასაზე. ფირმაში. სამუშაო სახლში საღამოობით იკრიბებიან ახალგაზრდები, რომლებითაც დაინტერესება შეიძლება კაწოწის მიმართულებით - პოლიცია
- , ყავს სატვირთო მარშუტკა და დაყავს დიდი რაოდენობით მუშების თითო 3 ლარად.- პოლიცია, საპატრულო
- . აქვს აზერბაიჯანის მოქალაქეობა და რუსეთის მოქალაქეობაც, სავარაუდოდ ყალბები -პოლიცია
- - პოლიცია
- , ყავს ოპელი და ხვდება აზრბაიჯანის ავტობუსს და იღებს უაქციზო სიგარეტს - პოლიცია
- - უბნის იწსპექტორი შსს. შეუძლია ზემოქმედება მოწიწააღმდეგე გარკვეულ ნაწილზე.
-)პოლიციაში მუშაობს

სურათი N29

სამხედრო კომისარიატი

- – ახალგაზრდა (სიმის – შვილი) - სოფ.
- – (მოწიწააღმდეგე) შვილი – სოფ.
- – უწევს ჯარი – სოფ.
- – (მოწიწააღმდეგე) შვილი – სოფ.
- - წვევამდელია–სოფ.
- – (მოწიწააღმდეგე) შვილი – სოფ.
- – 25 წლის ბიჭი – სოფ.
- და ები – (მოწიწააღმდეგე) შვილები – სოფ.
- – (ახალგაზრდა) ჯარში არ ყოფილა – სოფ.
- – ასაკი: 21-22 წლის, ჯარში არ ყოფილა – სოფ.
- – წვევამდელი – სოფ.
- - (მოწიწააღმდეგე) შვილი-
- -შვილები: და გასაწვევები არიან ჯარში.
-
- - , მუშაობდა კომისარიატში, სავარაუდოდ კომისარიატში აქვთ მასზე ზემოქმედების ბერკეტები.

დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ სავარაუდოდ ნავერიანი მმართველ პარტიას ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების წინააღმდეგ სახელმწიფო რესურსებით ზეწოლის ყველა შესაძლო გზის გამოყენებას სთავაზობდა, რაც ძალიან კონკრეტულად და დეტალურად ჰქონდა აღწერილი. **შემოთავაზებული ქმედებები განხორციელების შემთხვევაში სისტემური ხასიათის სამოხელეო დანაშაულების ჩადენას გულისხმობს და ძნელად სავარაუდოა მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ასეთი გეგმა პარტიისთვის ისე შეეთავაზებინა, რომ არ არსებობდა მისი წინასაარჩევნოდ გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა და შესაბამისი პოლიტიკური ნება.**

აღსანიშნავია, რომ „ტვ პირველმა“ გააკეთა რეპორტაჟი, რომელშიც რამდენიმე მოქალაქემ დაადასტურა დოკუმენტში არსებული გარემოებები.[27]

1.3.3. წვევამდელთა სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადება

მამხილებლის მიერ მოწოდებულ მასალებში ასევე იძებნება დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია 25 წვევამდელ პირზე. სიის სათაურად მითითებული იყო შემდეგი მოთხოვნა: „აღნიშნული პირები არიან წვევამდელები, ითხოვენ სამსახურის გადავადებას, მხოლოდ მიაწერეთ რამე ხომ არ გაქვთ საწინააღმდეგო“. (იხილეთ სურათი N30).

სურათი N30

აღნიშნული პირები არიან წვევამდელები, ითხოვენ სამხედრო სამსახურის გადავადებას, მხოლოდ მიაწერეთ რამე ხომ არ გაქვთ საწინააღმდეგო.

1. ლუკა (პირადი რეგ. გლდანი-წამალადევი,);
2. გიორგი (პირადი № , რეგ. საბურთალო,);
3. მიხეილ (პირადი № , რეგ. დიდუბე,);
4. გიორგი (პირადი რეგ. გლდანი-წამალადევი,);
5. ლაშა (პირადი № , რეგ. გლდანი-წამალადევი,);
6. ლადო (პირადი № მცხ. მთაწმიწდა,);
7. ოთარი (პირადი № , რეგ. ისანი,);
8. დავით (პირადი რეგ. გლდანი-წამალადევი,);
9. გიორგი (პირადი , მცხ: საბურთალო,);
10. ირაკლი (პირადი , რეგ. ისანი,);
11. სახილ (პირადი . რეგ. კრწანისი,);

[27] „ნოდარ მელაძის შაბათ“, „ტვ პირველი“, 23.10.2021, https://www.facebook.com/watch/?v=4760819177314370

II. საჯარო სამსახურების პოლიტიზება და მოსამსახურეების კონტროლი

მამხილებლის მიერ მიწოდებულ მასალებს შორის რამდენიმე ისეთი დოკუმენტიც იყო, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს არ უკავშირდებოდა და უფრო გვიანდელ პერიოდს ეხებოდა. ამ დოკუმენტებიდან როგორც იკვეთება, 2020 წელს მმართველი პარტია სუს-თან ერთად საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლების შესახებ პოლიტიკურ დოსიეებს ადგენდა და საკადრო პოლიტიკის გატარებისას აღნიშნულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. უფრო კონკრეტულად, დოკუმენტებში მოცემულია საჯარო სკოლების დირექტორების, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლების პოლიტიკური დახასიათებები და რეკომენდაციები.

2.1. საჯარო სკოლის დირექტორების პოლიტიკური დოსიეების შექმნა და საკადრო პოლიტიკა

როგორც წესი, მმართველი პარტია საჯარო სკოლების თანამშრომლებს საარჩევნო კამპანიისთვის აქტიურად იყენებს ხოლმე, შესაბამისად, პოლიტიკურად ლოიალური სკოლის დირექტორების შერჩევის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო. მაგალითად, „სამართლიანი არჩევნების" კვლევის მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, საგანმანათლებლო სისტემაში ახალი ტიპის სადამსჯელო მექანიზმები გაჩნდა, რაც საჯარო სკოლების პოლიტიზების ინსტრუმენტის როლს განგრძობადად, მათ შორის 2021 წლის მუნიციპალური თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდშიც ასრულებდა.

2014 წელს კონკურსის წესით, სკოლების სამეურვეო საბჭოების მიერ შერჩეული და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების დირექტორების უმრავლესობას უფლებამოსილების ვადა 2020 სექტემბრიდან ეტაპობრივად ამოეწურა. განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, საერთო ჯამში 6-წლიანი უფლებამოსილების ვადა 1,003 დირექტორს გაუვიდა. სამინისტრომ, მათგან დიდი ნაწილი (891 დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, ხოლო ნაწილი (**112 დირექტორი**) - არა. ეს ერთგვარი სადამსჯელო ზომა იყო მათ მიმართაც, ვინც მმართველი პოლიტიკური გუნდის შეხედულებებს არ იზიარებდნენ, საარჩევნო კამპანიაში ჩართვას თავს არიდებდნენ ან პოლიტიკური პროცესებიდან დისტანცირების გზა აირჩიეს.[28]

დირექტორთა დიდი ნაწილის ხელშეკრულებების ვადის ამოწურვა 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებს ან/და მის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. ამდენად, სკოლის დირექტორების მოვალეობის შემსრულებლებად არ დანიშვნა კითხვის ნიშნებს წარმოშობდა ამ გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რადგან

[28] უფლებამოსილების ვადის გასვლა, როგორც სკოლის დირექტორთა დასჯის მექანიზმი, „სამართლიანი არჩევნები", 2021 წლის 18 აგვისტო: https://cutt.ly/aSw01g0i

სამინისტროს, ნათელი არ მოუფენია, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილებები დირექტორთა ნაწილის მიმართ მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე უარის თქმის დროს. სამინისტროს მიერ დირექტორებისთვის თუ სხვა დაინტერესებული პირებისთვის გაცემული შაბლონური პასუხები, რომ დირექტორების ნაწილთან შრომითი ურთიერთობების დასრულება ხელშეკრულებების ვადის ამოწურვას უკავშირდებოდა, არათანმიმდევრული და დაუსაბუთებელი იყო.

დირექტორების ნაწილის დროებით მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის პარალელურად, არაგონივრული ვადით გადაიდო დირექტორების სასერტიფიკაციო გამოცდები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განათლების სამინისტრომ გამოცდა 2020 წლის დასაწყისში დანიშნა, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე იგი გადადო. ამ ფონზე სამინისტრომ სხვადასხვა გამოცდები, მათ შორის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაატარა, რაც ცალსახად აჩენს ეჭვებს დირექტორთა გამოცდის გადადების რეალურ მოტივებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოვალეობის შემსრულებლის სტატუსის ხანგრძლივი ვადით გაგრძელება ზღუდავს დირექტორთა შრომის უფლებებს.

ყოფილი დირექტორები „სამართლიან არჩევნებთან" გასაუბრებისას მიუთითებდნენ, რომ მათთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას, სამინისტრომ მმართველი პარტიის ადგილობრივი ოფისებისა და სუს-ის ადგილობრივი წარმომადგენლების შეფასებების მიხედვით იხელმძღვანელა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კულუარულად იყო გავრცელებული. ამასთან დირექტორები მიუთითებდნენ რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების მხრიდან მიღებული მადლობების თუ წახალისების შესახებ, რაც მათ მიერ ხარისხიანად შესრულებულ საქმიანობას უკავშირდებოდა და მათი თქმით, რესურს-ცენტრების მხრიდან მათ შესახებ უარყოფითი შეფასება, რომელიც მათ გათავისუფლებას დაედებოდა საფუძვლად, შეუძლებელია არსებულიყო.

2.2. მამხილებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები საჯარო სკოლის დირექტორების შესახებ

მამხილებლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში, რომელიც სავარაუდოდ 2020 წელს არის შედგენილი, საჯარო სკოლების დირექტორების დახასიათებები არის მოცემული. დოკუმენტის მიხედვით, დირექტორების შეფასებას განათლების ადგილობრივი რესურს-ცენტრი, პარტია „ქართული ოცნება" და სუსი აკეთებდნენ. დირექტორების შეფასებები დაყოფილი იყო თვეების მიხედვით, რომელ თვეებშიც მათი ექვსწლიანი უფლებამოსილების ვადა იწურებოდა. თითოეული დირექტორის შეფასებისთვის სავარაუდოდ გამოყენებული იყო მსგავსი ფორმა. დირექტორები სხვადასხვა კრიტერიუმებით ფასდებოდნენ (იხილეთ სურათი N31).

სურათი N31

N	რეგიონი	რაიონი	სკოლა	დირექტორი (სახელი, გვარი)	არჩეული/დანიშნული(8.3	ეფექტიანობილების ვადა	პირადი ნომერი	დირექტორის კომპეტენცია არაკომპეტენტური (დასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია სამუალოდ კომპეტენტური (დასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია კომპეტენტური (დასაბუთეთ)	მეუსაბამო (მაგ. ასაკი, ნეიტრალურობა,ეკანონ რიფლობის მდგომარეობა, ნიჰილიზმი, პროფესიული განვითარების და სიახლეებისადმი ნაკლები სწრაფვა)	2018 წლის ქცევები (არასასურველი და არაორდინალური მოქმედებები)	მენიშვნა (რაიმე ინფორმაცია რაც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის ან მანამდე პერიოდზე სხვა წყაროებიდან, ან რაიმე დამატებით ინფორმაცია რაც საჭიროდ ვფიქრობთ)	პარტიის მოსაზრება	სუსის მოსაზრება
6	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი				არჩეული				გამოცდილება აქვს,ასეთისმეგზელინა, ზრუნავს სკოლაში და ბედგოგეზე,მაგრამ აკლია პროფესიონალიზმი,ვერ არჩევს სათანადოდ იმ პრიორიტეტებს, რაც ეფერო მნიშვნელოვანია.				აქვს არასწორი პოლიტიკური ორიენტაცია	უარყოფითი	**ოპოზიციურად განწყობილია. არ არის მიზანშეწონილი**
7	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი				არჩეული					ეზერგიულია, ნიჰილური,პრომისმოყვარე, ზრუნავს სკო-ლის წინაცლასა და განვითარებაზე.			აქვს არასწორი პოლიტიკური ორიენტაცია	უარყოფითი	**ოპოზიციურად განწყობილია. არ არის მიზანშეწონილი**

როგორც ჩანს, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მიერ დირექტორის პროფესიული უნარები და კომპეტენცია მოწმდებოდა (თითოეული დირექტორი შეფასებულია როგორც არაკომპეტენტური, საშუალოდ კომპეტენტური, კომპეტენტური). შეფასებისას დასაბუთებული იყო სკოლის დირექტორების პროფესიული კომპეტენცია და შესაძლებლობები.

დოკუმენტიდან არ ჩანს, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას შემდეგი ორი კრიტერიუმის შეფასების პროცესში, რომელიც დირექტორებს აფასებდა როგორც „შეუსაბამო" ან მიმოიხილავდა „2018 წლის ქცევებს". „შეუსაბამო" გულისხმობდა დირექტორის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, პოლიტიკური ნეიტრალურობის, ნიჰილიზმისა და პროფესიული განვითარების და სიახლეებისადმი ნაკლებად სწრაფვის შესაბამისობის შემოწმებას; ხოლო კატეგორია „2018 წლის ქცევები" საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში სკოლის დირექტორების ქმედებებს აფასებდა.

პარტიის შეფასება ორი - დადებითი ან უარყოფითი შეფასების კომპონენტებს აერთიანებდა, თუმცა დოკუმენტში არ იყო დასაბუთებული, თუ რა ფაქტორების/თვისებების და ქმედებების ერთობლიობამ განაპირობა მსგავსი შეფასება. შეფასების ინდივიდუალურ გრაფებში მითითებული იყო მხოლოდ სიტყვა „დადებითი" ან „უარყოფითი", რაც სხვა შემფასებლებისგან განსხვავებით, არ იყო ახსნილი და არ აფასებდა სკოლის დირექტორების საქმიანობას.

სუს-ის შეფასება უმეტესად უკავშირდებოდა დირექტორების პოლიტიკური შეხედულებებისა და მათ მმართველი პარტიის სასარგებლო საქმიანობაში ჩართულობის ხარისხს. სკოლის დირექტორებთან ხელშეკრულება გაგრძელება/შეწყვეტის რეკომენდაციაში გადამწყვეტი სწორედ მათი ან მათი ოჯახის წევრების პოლიტიკური განწყობები იყო.

აღნიშნულმა დოკუმენტმა საშუალება მოგვცა, მასში მოცემული დახასიათებები შეგვედარებინა 2020 წლის სექტემბრიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გათავისუფლებული 112 დირექტორის სიისთვის.

ამ 112 პირიდან მამხილებლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში 95 დირექტორი იყო შეფასებული. საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებს მათგან მხოლოდ 29 გათავისუფლებული დირექტორი ჰყავდა უარყოფითად შეფასებული, მმართველ პარტიას - 80 დირექტორი, ხოლო სუს-ს - 89. ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ სუს-ის და მმართველი პარტიის შეფასებებს დირექტორების გასათავისუფლებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც უკანონო და სრულიად მიუღებელი პრაქტიკაა.

112 დირექტორიდან 17-ის შესახებ დოკუმენტში შეფასება არ მოიპოვება. შესაძლოა მათ შესახებ მსგავსი შეფასებები სხვა დოკუმენტის სახით არსებობდეს.

დოკუმენტის მიხედვით, სუსი თანამდებობიდან გათავისუფლების რეკომენდაციას იმ შემთხვევაში იძლეოდა, თუ დირექტორი:

- პოლიტიკურად ნეიტრალური იყო;
- არ ასრულებდა/თავს არიდებდა მმართველი პარტიის მიერ მიცემულ დირექტივებს;
- დაკავშირებული იყო ოპოზიციურ პარტიასთან;
- „ფარულად თანაუგრძნობდა“ ოპოზიციურ პარტიას;
- „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო” პირი იყო;
- მის მიერ მართული პედაგოგიური კოლექტივი არჩევნებში არ მონაწილეობდა;
- მას არ გააჩნდა „საარჩევნო რესურსი“ და სხვა.

მოცემული შეფასებებიდან იკვეთება, რომ სუსი იკვლევდა საჯარო სკოლის დირექტორების, მათი ოჯახის წევრების პარტიულ საქმიანობას, კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ აგიტაციაში მონაწილეობის შემთხვევებს და სწორედ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე აფასებდა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის მიზანშეწონილობას. ძირითადად, საჯარო სკოლის დირექტორების, მათი ოჯახის წევრებისა თუ ახლო ნათესავების ოპოზიციურ პარტიაში საქმიანობა, მათ მიმართ პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოხატული დამოკიდებულება იყო უარყოფითი შეფასების საფუძველი, ანალოგიური მიდგომა იყო დირექტორის ნეიტრალური პოზიციის და მისი მხრიდან საარჩევნო კამპანიაში ჩართვაზე გამოხატული უარის შემთხვევაში.

მაგალითად, როცა სუსი მმართველი პარტიის მიმართ კეთილგანწყობის გამო დირექტორის პოზიციაზე დარჩენას მიზანშეწონილად აფასებდა, წერდა, რომ: „არის არსებული ხელისუფლების მხარდამჭერი, მიზანშეწონილია დარჩეს აღნიშნულ თანამდებობაზე“ (სურ. N32).

სამაგიეროდ არ იყო რეკომენდებული ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერების დირექტორის პოზიციაზე დარჩენა. მაგალითად, დოკუმენტში ერთ-ერთი სკოლის დირექტორი სუს-ის მიერ შემდეგნაირად არის შეფასებული: ,,2018 წლის საპრეზიდენტო

არჩევნების პირველ ტურში უჭერდა მხარს პარტია ,,ევროპულ საქართველოს”-ს, მიზანშეუწონელია დაინიშნოს თანამდებობაზე” ან ,,თავს არიდებს მითითებების შესრულებას, ოპოზიციურად არის განწყობილი მმართველი გუნდის მიმართ, მისი თანამდებობაზე დანიშვნა არ არის მიზანშეწონილი.” (იხ. სურათები N33 და N34).

სურათი N32

ო ს	პირადი ნომერი	დირექტორის კომპეტენცია არაკომპეტენტური (დაასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია საშუალოდ კომპეტენტური (დაასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია კომპეტენტური (დაასაბუთეთ)	შეუსაბამო (მაგ. ასაკი, ნეიტრალურობა,ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნიჰილიზმი, პროფესიული განვითარების და სიახლეებისადმი ნაკლები სწრაფვა)	2018 წელს ქცევები (არასასურველი და არაორდინალური მოქმედებები)	შენიშვნა (რაიმე ინფორმაცია რაც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის ან მანამდე პერიოდზე სხვა წყაროებიდან, ან რაიმე დამატებით ინფორმაცია რაც საყურადღებოა)	პარტიის მოსაზრება	სუსის მოსაზრება
0				კომპენტენტური, კარგი მენეჯერი,				დადებითი	**არის არსებული ხელისუფლების მხარდამჭერი. მიზანშეწონილია დარჩეს აღნიშნულ თანამდებობაზე.**

სურათი N33

პირადი ნომერი	დირექტორის კომპეტენცია არაკომპეტენტური (დასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია საშუალოდ კომპეტენტური (დასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია კომპეტენტური (დასაბუთეთ)	შეუსაბამო (მაგ. ასაკი, ნეიტრალურობა,ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნიჰილიზმი, პროფესიული განვითარების და სიახლეებისადმი ნაკლები სწრაფვა)	2018 წელს ქცევები (არასასურველი და არაორდინალური მოქმედებები)	შენიშვნა (რაიმე ინფორმაცია რაც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის ან მანამდე პერიოდზე სხვა წყაროებიდან, ან რაიმე დამატებით ინფორმაცია რაც საყურადღებოა)	პარტიის მოსაზრება	სუსის მოსაზრება
			პოზიციურად მოვალეობის შემასრულებელი სკოლის დირექტორი. მას აქვს საკმაო გამოცდილება სკოლის მართვის, წლების განმავლობაში მუშაობდა რამდენიმე სკოლაში დირექტორად. არის პრინციპული და კანონმორჩილი ადამიანი და ამასვე მოითხოვს თანამშრომლებისაგან. დაინიშნა საკმაოდ რთულ და კონფლიქტურ სკოლაში, თუმცა მალევე შეძლო სიტუაციის დარეგულირება				უარყოფითი	უარყოფითი. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მხარს უჭერდა პარტია „ევროპულ საქართველო"-ს მიზანშეუწონელია დაინიშნოს თანამდებობაზე

სურათი N34

პირადი ნომერი	დირექტორის კომპეტენცია არაკომპეტენტური (დასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია საშუალოდ კომპეტენტური (დასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია კომპეტენტური (დასაბუთეთ)	შეუსაბამო (მაგ. ასაკი, ნეიტრალურობა,ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნიჰილიზმი, პროფესიული განვითარების და სიახლეებისადმი ნაკლები სწრაფვა)	2018 წელს ქცევები (არასასურველი და არაორდინალური მოქმედებები)	შენიშვნა (რაიმე ინფორმაცია რაც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის ან მანამდე პერიოდზე სხვა წყაროებიდან, ან რაიმე დამატებით ინფორმაცია რაც საყურადღებოა)	პარტიის მოსაზრება	სუსის მოსაზრება
			კომპეტეტური (ეფექტურად ასრულებს თავის მოვალეობებს და კომპეტენტურია სკოლის მართვის საკითხებში)				უარყოფითი	უარყოფითი, თავს არიდებს მითითებების შესრულებას, ოპოზიციურად არის განწყობილი მმართველი გუნდის მიმართ , მისი თანამდებობაზე დანიშვნა არ არის მიზანშეწონილი.

როგორც აღინიშნა, სუსი არა მხოლოდ საჯარო სკოლის დირექტორების, არამედ მათი ოჯახის წევრების პარტიულ საქმიანობას მიიჩნევდა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის დამაბრკოლებელ ფაქტორად. მაგალითად, ერთ-ერთი დირექტორის გათავისუფლების რეკომენდაციის საფუძვლად აღნიშნავდა: „საყურადღებოა ის ფაქტი,

რომ იგი და მისი ოჯახის წევრები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მხარს უჭერდნენ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს.“ (იხ. სურათი N35)

სურათი N35

პირადი ნომერი	დირექტორის კომპეტენცია არაკომპეტენტური (დასასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია საშუალოდ კომპეტენტური (დასასაბუთეთ)	დირექტორის კომპეტენცია კომპეტენტური (დასასაბუთეთ)	შეუსაბამო (მაგ. ასაკი, ნეიტრალურობა,ჯანმ რთველობის მდგომარეობა, ნიჰილიზმი, პროფესიული განვითარების და სიახლეებისადმი ნაკლები სწრაფვა)	2018 წელს ქცევები (არასასურველი და არაორდინალური მოქმედებები)	მენიშვნა (რაიმე ინფორმაცია რაც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის ან მანამდე პერიოდზე სხვა წყაროებიდან, ან რაიმე დამატებით ინფორმაცია რაც საყურადღებოა)	პარტიის მოსაზრება	სუსის მოსაზრება
[redacted]		ეცნობა სიახლეებს, მუშაობს მის დანერგვაზე.სკოლა ჩართულია პროექტებში/საგანმანათლებლო ინიციირებულ კონკურსებში, ყურადღებით ეკიდება დავალების შესრულებას.				იყო კითხვები მის ნეიტრალურობასთან დაკავშირებით არჩევნებზე,	უარყოფითი	[redacted] არის ბრონმის-მოყვარე, წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგი და მისი ოჯახის წევრები 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მხარს უჭერდნენ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს (თანამშრომლებში ეწოდა აქტიურ აგიტაციას), [redacted] მეორე ტურში შეგნებულად გაერიდა სიტუაციას და იმყოფებოდა [redacted] არის პოლიტიკურად არამდგრადი, შესაბამისად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მისი კანდიდატურის განხილვა ნებისმიერ პოზიციაზე,

სუს-ის მხრიდან საჯარო სკოლის დირექტორების შესახებ ზემოაღნიშნული ინფორმაციის სავარაუდო დამუშავება მნიშვნელოვნად სცდება სამსახურის მანდატს და ფუნქციებს.

მამხილებლის მიერ გადმოცემული დოკუმენტაცია დამატებით მტკიცებულებად უნდა იქნას განხილული ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიაზე განხორციელებული ზეწოლის ნაწილში. [29]

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველსა და მეორე ტურებს შორის პერიოდში ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში არაგეგმიური ინსპექტირება ჩატარდა. ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე სკოლის სამეურვეო საბჭოს სკოლის დირექტორის, ია კერზაიას უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის რეკომენდაცია მიეცა. თავად ია კერზაია აღნიშნულ ინსპექტირებას პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ ზეწოლას უკავშირებდა და ამის შესახებ საჯაროდ რამდენიმე ფორმატში განაცხადა. სატელევიზიო კომენტარში ია კერზაია აცხადებდა, რომ მას პირად საუბარში დაავალეს სკოლის პედაგოგებთან სალომე ზურაბიშვილის სასარგებლო აგიტაცია, რაც არ გააკეთა. სამინისტროს მიერ ჩატარებულ არაგეგმიურ ინსპექტირებას კერზაია ამ მოვლენების გამო მისი დასჯის ღონისძიებად განიხილავდა.

[29] “ინსპექტირება, როგორც სადამსჯელო ღონისძიება ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში, „სამართლიანი არჩევნები“, 26 მარტი 2019 https://isfed.ge/geo/news/inspeqtireba-rogorts-sadamsdjelo-ghonisdzieba-zugdidis-6-sadjaro-skolashi

2 დეკემბერს ია კერზაია ინსულტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს. 9 დეკემბერს იგი გარდაიცვალა. ია კერზაიას ოჯახის წევრების განცხადებით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მანამდე არ ჰქონია.

2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე სკოლებზე არსებული ზეწოლის შესახებ ეჭვებს აღრმავებს ის გარემოება, რომ ამ წელს განხორციელებული 7 ინსპექტირებიდან 6 ინსპექტირება მოქალაქეთა განცადებების საფუძველზე ჩაატარა. ექვსივე განცხადება პირველსა და მეორე ტურებს შორის პერიოდში, ნოემბრის თვეშია რეგისტრირებული. აქვე, აღნიშნული განცხადებები სამი განცხადების შინაარსი და ფორმა ერთმანეთს ჰგავს.

ია კერზაიას საქმის პარალელურად, 2018 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულებზე ზეწოლის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. პედაგოგებსა და ბაგა-ბაღებში დასაქმებულებს ზემდგომი პირები თუ მმართველი პარტიის წარმომადგენლები სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მიცემას თუ მის სასარგებლოდ აგიტაციას ავალებდნენ.[30]

2.3. სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა პოლიტიკური დოსიეების შექმნა და მათი კონტროლი

სკოლის დირექტორების დახასიათებების გარდა, მამხილებლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში მოცემული იყო 2020 წლის აგვისტოს მდგომარეობით სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელთა დახასიათებები, უწყებებში არსებული ზოგადი მდგომარეობა, პოლიტიკური განწყობები და ა.შ. N36 სურათზე იხილეთ დოკუმენტის პირველი გვერდი, სულ დოკუმენტი 28 გვერდისგან შედგება.

[30] იხ: „სამართლიანი არჩევნების“ შუალედური ანგარიშები:
I შუალედური ანგარიში - ხელმისაწვდომია ბმულზე:https://isfed.ge/geo/news/2018-tslis-saprezidento-archevnebi-tsinasaarchevno-monitoringis-pirveli-shualeduri-angarishi
II შუალედური ანგარიში - ხელმისაწვდომია ბმულზე: https://isfed.ge/geo/2018-tslis-saprezidento/2018-tslis-saprezidento-archevnebi-tsinasaarchevno-monitoringis-meore-shualeduri-angarishi
III შუალედური ანგარიში - ხელმისაწვდომია ბმულზე: https://isfed.ge/geo/news/2018-tslis-saprezidento-archevnebi-tsinasaarchevno-monitoringis-mesame-shualeduri-angarishi

სურათი N36



12.09.2020წ.

ქობულეთში, საჯარო სამსახურებში არსებული ვითარების მოკლე მიმოხილვა, ადგილზე დასაქმებული ოპოზიციურად განწყობილი პირები და მათი სავარაუდო საარჩევნო რესურსი

❖ **ვაკისა და საბურთალოს რაიონები**

ვაკისა და საბურთალოს რაიონებში ამ ეტაპისთვის საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირების დამოკიდებულება ხელისუფლების და მმართველი პარტიის მიმართ არის დამაკმაყოფილებელი. ბოლო პერიოდში, განხორციელებულმა სახელფასო ცვლილებებმა დადებითად იმოქმედა ძალოვანი სისტემის თანამშრომლებზე (შსს, სუს, სდსს, თავდაცვის ძალები), ასევე პოზიტიურად არიან განწყობილნი ადგილობრივ თვითმმართველობასა (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და სსიპ-ებში დასაქმებული პირებიც. თუმცა, მეტნაკლებად პრობლემები იკვეთება განათლების სფეროში, სადაც

დაბ. 3/6
რეგ. ქობულეთი,
მობ.

და სხვა რამდენიმე სკოლა-ბაღის ხელმძღვანელის მხრიდან, ადგილი აქვს ოპოზიციური სპექტრის წევრებთან მეგობრული ფორმით, პერიოდულ კომუნიკაციას. ასევე, ცნობილია შემთხვევები, როდესაც რამდენიმე მათგანმა კოლეგებთან საუბარში ღიად დააფიქსირა უკმაყოფილება როგორც ქვეყანაში, ასევე განათლების სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

❖ **ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილი საჯარო სკოლებსა და ბაღებში დასაქმებული პირები:**

- **ქობულეთის საჯარო სკოლის**

დაბ. 3/6
რეგ.
მობ.

დოკუმენტებში საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების განწყობა მმართველი პარტიის და ხელისუფლების მიმართ დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული, განსაკუთრებით ხაზგასმულია სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებული პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სსიპ-ებში დასაქმებული პირების კეთილგანწყობილი და საჯარო დამოკიდებულება, თუმცა პრობლემად/გამოწვევად დასახელებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებსა თუ საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობა, რაც ამ უწყებებში დასაქმებული პირების მმართველი პარტიის მიმართ უარყოფითი განწყობებით აიხსნებოდა.

მაგალითისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების, რესურს-ცენტრის ხელმძღვანელებისა თუ სხვა პირების უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ გამოიხატებოდა, მათი მეგობრული ან სხვა ტიპის კავშირით ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან ან მათ მიერ საჯაროდ გამოხატული პოზიციით ქვეყანაში ან განათლების სფეროში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლებსა და ბაღებში დასაქმებული პირების პერსონალური და პოლიტიკური განწყობები, როგორც ჩანს, სხვადასხვა წყაროებით მიღებული ინფორმაციის ერთობლიობას აერთიანებდა. კერძოდ, თითოეული სკოლის დირექტორის დოსიეს გასწვრივ მითითებული იყო ინფორმაციის წყარო, რაც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დეტალურად იყო მოცემული. მაგალითად, თბილისის 186-ე საჯარო სკოლის დირექტორი პარტია ,,ენმ"-ს მხარდამჭერად იყო მოხსენიებული და ამ ინფორმაციის წყაროდ „დიდი დიღმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები" იყვნენ მითითებული. სკოლის დირექტორების პოლიტიკური განწყობების შესახებ ინფორმაციის წყაროდ უმეტეს სავარაუდოდ სუს-იდან მოპოვებული ინფორმაცია იყო მითითებული.

დოკუმენტებით ირკვევა, რომ სავარაუდოდ სუს-ის მიერ პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით შეფასდნენ ისეთი უწყებების თანამშრომლები, როგორიცაა ვაკის და საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული უწყებები, თბილისის მერია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სხვადასხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები.

მაგალითად, ერთ-ერთი დოკუმენტი ასეთ შეფასებას შეიცავს: ,,არსებული ინფორმაციით, ვაკის და საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო სამსახურებში მოქმედ ხელისუფლებას მხარს უჭერს დასაქმებულთა 60-65%. დღეის მდგომარეობით, განათლების სამინისტრომ დაიწყო ცნობაში ასახული ოპოზიციურად განწყობილი დირექტორების გათავისუფლების პროცესი, რაც ამ მომენტისთვის მიმდინარეობს".

2.4. საბიუჯეტო ორგანიზაციებში თანამდებობებზე დასანიშნი პირების პოლიტიკური ლოიალობის წინასწარი შესწავლა

მამხილებლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში ასევე იყო ფაილები, რომელთა ანალიზიდანაც იკვეთება, რომ ისინი სავარაუდოდ სხვადასხვა საჯარო უწყების მიერ ამავე სამსახურში დასანიშნ კანდიდატთა პოლიტიკურ სანდოობაზე გადამოწმების მიზნით გადაგზავნილ სიას წარმოადგენდა.

სიაში მოცემული იყო პირების პირადი ნომრები და მისამართები. გარდა ამისა, რაც ყველაზე საყურადღებოა, ჩამონათვალს თან ერთვოდა მიმართვის ტექსტი, საიდანაც იკვეთებოდა, რომ სიის შედგენის მიზანი მმართველი პარტიის მიმართ ამ პირების ლოიალობის შემოწმება იყო. სურათზე N37 ნაჩვენებია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დასანიშნი კანდიდატების სიის ფრაგმენტი, რომელშიც, როგორც ჩანს, გადამოწმების შემდეგ შეფასების გრაფები შეავსეს და გაუგზავნეს საჯარო რეესტრს. მაგალითად, ერთ-ერთი კანდიდატის უარყოფითი შეფასების მიზეზად მითითებულია, რომ 2018 წელს მას უფიქსირდება სახელფასო ანაზღაურება პარტია „ევროპული საქართველოდან".

სურათი N37

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დასანიშნი კანდიდატები, მიაწერეთ მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი (უარყოფითის შემთხვევაში მოკლე განმარტება)

ვადა: 29 სექტემბერი

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი, დაბ: თარიღი	მისამართი რეგისტრაციის მიხედვით	ინფორმაცია
1			**სამგორი**	**დადებითი**
2			**ისანი**	**უარყოფითი** სახელფასო ანაზღაურება 2018 წელს უფიქსირდება პ/გ ,,ევროპული საქართველო"-დან.
3			**მთაწმინდა,**	

საჯარო რეესტრში დასანიშნი კადრების შემოწმების ამსახველ სხვა დოკუმენტშიც ერთ-ერთი კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი პოლიტიკურია. კერძოდ, მითითებულია, რომ მან 2017 წელს პარტია „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველოდან“ 100 ლარის ოდენობის ანაზღაურება მიიღო (იხ. სურათი N38).

სურათი N38

N		პირადი ნომერი, დაბ: თარიღი	მისამართი რეგისტრაციის მიხედვით	ინფორმაცია	
				დადებითი-უარყოფითი	
1				თბილისის იუსტიციის სახლის მეწეკერის მოადგილე	
2				ქუთაისის იუსტიციის სახლის მეწეკერი	
3				საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორი	
4				საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორი	
5				საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორი	**უარყოფითი 2017 წელს სახელფასო ანაზღაურება 100,00 ლარი უფიქსრდება პოლიტიკური გაერთიანება "სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო"-დან.**
6				საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორი	
7				საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორი	**დადებითი**
8				საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის სტაჟიორი	

დოკუმენტის მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დასანიშნი კანდიდატების გადამოწმების მიზნით სავარაუდოდ სუს-ში სულ 49 პირის მონაცემები გადაიგზავნა. იმავე მიზნით და სტრუქტურით იყო შედგენილი კანდიდატების სიები

სავარაუდოდ საგარეო საქმეთა სამინისტროსა (74 პირი) და იუსტიციის სამინისტროსთვის (5 პირი) (იხილეთ სურათები N39 და N40).

სურათი N39

საგარეო საქმეთა სამინისტროში დასანიშნი კანდიდატები:

მიაწერეთ თუ მოგეპოვებათ შემაფერხებელი გარემოებები მათ დანიშვნასთან დაკავშირებით (დადებითი ან უარყოფითი, უარყოფითის შემთხვევაში მოკლე მიზეზი)

ვადა 17 დეკემბერი 15 საათი.

ვაკე–საბურთალო

1. ლევან [redacted] თბილისი,
2. რატი [redacted] რეგ. თბილ
3. მარინ [redacted] ხ. ქალაქი ი
4. ილია [redacted] . თბილისი
5. მზია [redacted] თბილისი,
6. ეკა [redacted] ბილისი, ვ
7. ერეკლ [redacted] , რეგ თბილ
8. გიორგ [redacted] ეგ. თბილის
9. სალომ [redacted] რეგ. თბილ
10. ეკატერ [redacted] რეგ. თბილ
11. პაატა [redacted] ეგ. საბურთ
12. კრასი [redacted] , მცხ. თბილისი
13. რევაზ [redacted] ეგ. თბილის
14. თამარ [redacted] ეგ. თბილი
15. ირინე [redacted] ეგ. თბილის
16. თამარ [redacted] , თბილისი,
17. თამარ [redacted] ეგ., საბურთ
18. ლიკა [redacted] რეგ. საბურ
19. ზვიად [redacted] რეგ. თბილი
20. ლევან [redacted] ეგ თბილისი
21. ანტონ [redacted] ბილისი, ვ
22. თამრი [redacted] რეგ. საბურთ
23. თამარ [redacted] , რე. თბილ

სურათი N40

იუსტიციის სამინისტროში დასანიშნი კანდიდატები, მიაწერეთ მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი (უარყოდითის შემთხვევაში მოკლე მიზეზი) ვადა 2 დეკემბერი.

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი, დაბ: თარიღი	მისამართი რეგისტრაციის მიხედვით	ინფორმაცია	
1	[redacted]	[redacted]	[redacted]	იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	
2	[redacted]	[redacted]	[redacted]	იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	
3	[redacted]	[redacted]	[redacted]	იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	
4	[redacted]	[redacted]	[redacted]	იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**დადებითი**
5	[redacted]	[redacted]	[redacted]	იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	

კიდევ ერთი დოკუმენტი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის გამოცხადებულ შესარჩევ კონკურსს ეხებოდა, რომელში გამარჯვებულებსაც 6 თვემდე ვადით სტაჟირება უნდა გაევლოთ სახელმწიფო უწყებებში. დოკუმენტის მიხედვით, კონკურსის შედეგად 44 პირი შეირჩა, რომელთაგან სამი პირის მონაცემი გამოიყო და მათი შეფასება იყო მოთხოვნილი (იხ. სურათი N41).

სურათი N41

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გამოაცხადა კონკურსი სახელმწიფო უწყებებში 6 თვემდე ვადით სატიჟირების გავლასთან დაკავშირებით. კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა 44 პირი, რომლებიც მ.წ. 13 მაისიდან, ეტაპობრივად, სტაჟირებას გაივლიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში	**მისამართი**	**სტაჟირება/უწყება**	**დადებითი/უარყოფითი** (უარყოფითის შემთხვევაში მოკლე მიზეზი) **ვადა 11 მაისი**
[illegible]	[illegible]	განათლების სამინისტრო	
[illegible]	[illegible]	განათლების სამინისტრო	
[illegible]	[illegible]	ჯანდაცვის სამინისტრო	

III. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომელთა საარჩევნოდ მობილიზება

მამხილებლის მიერ მოწოდებულ ფაილებსა და კორესპონდენციაში ასევე იყო ათობით დოკუმენტი - „მოხსენებითი ბარათები“, რომლითაც სავარაუდოდ „ქართული ოცნების“ რეგიონული ხელმძღვანელები, როგორც წესი, პარტიის ხელმძღვანელების სახელზე (ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, აგრეთვე რეგიონული მდივანი - დიმიტრი სამხარაძე) წერდნენ განცხადებას და ითხოვდნენ საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის სხვადასხვა უწყების თანამშრომლების პარტიის შტაბში გადმოყვანას (მაგალითისათვის, იხ. სურათი N42).

სურათი N42



„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"
აღმასრულებელ მდივანს
ბატონ ირაკლი კობახიძეს,
გენერალურ მდივანს
ბატონ კახა კალაძეს,
რეგიონულ მდივანს
ბატონ დიმიტრი სამხარაძეს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"
აბაშის რაიონული ორგანიზაციის პარტიის თავმჯდომარის ლევან მაკა[illegible]თიას

მოხსენებითი ბარათი

მოგმართავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, ქ. აბაშაში მოვლენილ იქნან შემდეგი პირები: 1. (თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ; ინსპექტორ-გამომძიებელი), 2. (თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორ-გამომძიებელი, ტელ:) 3. (თბილისის პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს ; ინსპექტორ-გამომძიებელი,ტელ:) 4. (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ; , პატრულ-ინსპექტორი, ტელ:) 5. (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ; სამმართველოს ცვლის უფროსი, ტელ:) 6. (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, , გამომძიებელი, ტელ:) 7. (ქ. თბილისის

როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ რეგიონული ოფისები რეგულარულად და ფორმალიზებული წესით (მოხსენებითი ბარათით) ითხოვდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების არჩევნებში ჩართვას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებში პირდაპირ არ ჩანს პარტიის ხელმძღვანელების რეაგირება ამ მოთხოვნებზე, ამ პროცესის სავარაუდოდ ორგანიზებული და სისტემატიური ხასიათი

ცხადყოფს, რომ ეს იყო დამკვიდრებული პრაქტიკა და საარჩევნო პერიოდში ეს სქემა სრული მასშტაბით მოქმედებდა.

ამ შემთხვევაში იკვეთება სამართალდამცავი უწყებების მმართველი პარტიის მიზნებისთვის გამოყენება, რაც მასშტაბურ სისტემურ სამოხელეო დანაშაულების ჩადენაზე მიუთითებს. აგრეთვე, ამ ქმედებებით ირღვევა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს.

IV. რეკომენდაციები

ანგარიშში მოყვანილი შემთხვევები შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საქართველოს პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" და „სამართლიანმა არჩევნებმა" პროკურატურას სრულად მიაწოდეს მამხილებლის მიერ გადმოცემული მასალები, რაც ეფექტიანი გამოძიების ჩატარების წინაპირობა უნდა გახდეს.

ამასთანავე, მმართველმა პარტიამ ცხადად უნდა გამოხატოს პოლიტიკური ნება და უარი თქვას სახელმწიფო რესურსების გამოყენებით ამომრჩევლის მოსყიდვის, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის, სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში ჩართვის, ასევე, სხვა უკანონო და მანკიერ პრაქტიკაზე.